ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 10 მაისი, 2018 №109 (7654) ფასი: 50 თეთრი

რატომ დააკავეს ისრაელში სოსო ოხანაშვილი

გვ.4

3 მაისიდან

„50 ცნობილი ქართველი ქალის 300 რეცეპტი“

წიგნი ა4 ფორმატისაა, აქვს მაგარი ყდა, დაბეჭდილია ცარცის ქაღალდზე და მთლიანად ფერადია.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

აღიძვრება თუ არა საქმე გიორგი მარგველაშვილის წინააღმდეგ

ლაშა ჩხარტიშვილი: „ოცნება“ მომავალ პრეზიდენტს აფრთხილებს, რომ ივანიშვილის ნების წინააღმდეგ წასვლა არ გაბედოს“

გვ.2

ლადო სადღობელაშვილი

ცუდად არის, მაგრამ შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებს



გვ.3

სოსო ცინცაძე: „ივანიშვილი საპრეზიდენტო კანდიდატს „ოცნების“ გარეთ ეძებს“

გვ.4

კახა კუკავა: „პოლიციის მფარველობის გარეშე ნარკობიზნესი ვერ იარსებებს“

გვ.3

თამარ იოვაშვილი: „მივმართავ საპატრიარქოს, შედით ციხეში მოშიმშილეებთან და დაელაპარაკეთ“

სამართალი

გვ.7

ნინო გეგელაშვილი: „გიორგიმ ჩემს საქმიანობაზე არაფერი იცოდა“



ნინო გეგელაშვილს და გიორგი გოგებაშვილს ბრალი წაუყენეს

ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე საბოლოო განაჩენი მოსამართლემ 1 ივნისამდე უნდა გამოიტანოს

შსს: „მოზარდების თვითმკვლელობის არც ერთ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ლურჯ ვეშაპთან არ გვქონია“

ეკონომიკა

გვ.6

„რა პრინციპით ხდება მედიკამენტებზე ასეთი მაღალი ფასების დაწესება, ჩემთვის გაურკვეველია“

გვ.6

„ჭადრაკი ის სფეროა, რომელსაც პროგრამული დაფინანსება სჭირდება“

წავკისში ავანგარდულ სახლს ინდოეთის მოქალაქე აშენებს

გვ.5

ISSN 1987-9385

4 რატომ უხდის მაღლობას თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრი აფხაზებს?

5 „რომან გოცირიძე: „მთავრობამ ეროვნული ბანკი ფეხქვეშ გაიგდო“

7 დიდ დილომში ახალგაზრდა ქალი სახურავიდან გადმოხტა

8 ვინ არის ნიკოლ პაშინიანი ციხიდან პრემიერის სავარძლისკენ

ალიძვრება თუ არა საქმე გიორგი მარგველაშვილის წინააღმდეგ

შორენა მარსაგიშვილი

„ქართული ოცნებისა“ და საქართველოს პრეზიდენტის დაპირისპირება გრძელდება. მმართველი პარტია გიორგი მარგველაშვილს ამჯერად შეწყალების გამო უყენებს პრეტენზიებს.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, მარგველაშვილის მიერ შეწყალებულების რაოდენობა ასმაგად აღემატება ევროპასა და ამერიკაში შეწყალებულთა ოდენობას.

ირაკლი კობახიძე პრეზიდენტის ასეთ გულმოწყალებას სამი სავარაუდო მიზეზით ხსნის – უპასუხისმგებლობა, კორუფცია და მიზანმიმართული ქმედება სამართალდამცავი სტრუქტურების წინააღმდეგ.

მედიაში უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ პროკურატურა მარგველაშვილის საქმიანობას სწავლობს. უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი არ გამორიცხავს, რომ პრეზიდენტის წინააღმდეგ მართლაც აღიძრას საქმე. ამასთან მიაჩნია, რომ შეწყალების თემის გააქტიურებას სულ სხვა მიზეზი აქვს.

რატომ დაიწყო მარგველაშვილზე ასეთი სერიოზული შეტევა, რას აპირებს პრეზიდენტი, რისთვის ეძებს „ქართული ოცნება“ კომპრომატებით დახუნძლულ პირს? – ამის შესახებ ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

ლაშა ჩხარტიშვილი: „ოცნება“ მომავალ პრეზიდენტს აფრთხილებს, რომ ივანიშვილის ნების წინააღმდეგ წასვლა არ გაბედოს“

ლაშა ჩხარტიშვილი:

– ნამდვილად არ გამიკვირდება, თუ „ქართული ოცნების“ პროკურატურა გიორგი მარგველაშვილის წინააღმდეგ საქმეს აღძრავს. ბიძინა ივანიშვილი ვერაფრით ვერ ინელებს, რომ მის მიერ შერჩეულმა კანდიდატმა მონური მორჩილება არ გამოავლინა. ყველასთვის მოულოდნელად, გიორგი მარგველაშვილი საკმაოდ დამოუკიდებელი ფიგურა აღმოჩნდა.

მის დამორჩილებას ყოფილი პრემიერი ბევრჯერ შეეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ახლა თავისი გუნდის დახმარებით მის დისკრედიტაციას შეუდგა. ეს გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ივანიშვილი პრეზიდენტის სკამზე გარანტირებული მონის დასმას აპირებს.

მის დამორჩილებას ყოფილი პრემიერი ბევრჯერ შეეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ახლა თავისი გუნდის დახმარებით მის დისკრედიტაციას შეუდგა. ეს გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ივანიშვილი პრეზიდენტის სკამზე გარანტირებული მონის დასმას აპირებს.

– მარგველაშვილის წინააღმდეგ დაწყებული კამპანია ამასთან რა შუაშია?

– შუაში კი არა, თავშია. მომდევნო პრეზიდენტმა უნდა იცოდეს, რომ ივანიშვილი მონობიდან გადახვევას არ აპატიებს. როგორც კი რამეს გაბედავს, მას „ოცნება“ ისევე შეუტევს, როგორც მარგველაშვილს უტევენ.

ამ ისტერიულ და ბინძურ კამპანიას სხვა მიზეზიც აქვს. მმართველი პარტია დარწმუნებულია, რომ გიორგი მარგველაშვილი წლევანდელ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს. ამიტომ ცდილობენ, რომ რაც შეიძლება მეტად გასვაროონ ის.

– ფიქრობთ, რომ მარგველაშვილი სერიოზული კონკურენტი იქნება საპრეზიდენტო არჩევნებში?

– ბიძინა ივანიშვილის, მისი ხელის ბიჭების და გოგონების ფონზე მოქმედი პრეზიდენტი ბევრად უფრო სიმპათიურად გამოიყურება. მან შესაძლოა „ოცნების“ კანდიდატს სერიოზული პრობლემები შეუქმნას. ამიტომაც ცდილობენ წინასწარ მის გასვრას.

– თქვენი აზრით, ის კითხვები არალეგიტიმურია, რომლებსაც „ოცნება“ შეწყალებასთან დაკავშირებით სვამს? ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ მარგველაშვილის მიერ შეწყალებულთა რიცხვი ასმაგად აღემატება ევროპელი პრეზიდენტების შეწყალებულთა რაოდენობას.

– დარწმუნებული ვარ, ასეთი კოლოსალური სხვაობა არ არსებობს. კობახიძის ეს განცხადება დემაგოგიაა და მეტი არაფერი. ტელესამართალი „ქართული ოცნების“ დამახასიათებელი თვისებაა.

ჩვენ ვნახეთ, რომ მიხეილ სააკაშვილის დროინდელი ჯალათების, მკვლელების, ზონდერ-მოსამართლეების უმეტესობა დღესაც თბილ ადგილებზე ზის. „ოცნება“ ავადსახსენებელ 9 წელს მხოლოდ გულის მოსაფხანად იხსენებს. ამ 9 წელს მხოლოდ ახსენებენ, ამ სისხლიანი პერიოდის შემოქმედთა საქმეები სასამართლო დარბაზამდე არ მიჰყავთ. მხოლოდ ტელესამართლით არიან დაკავებული.

ასეთივე ტელესასამართლოს უწყობენ გიორგი მარგველაშვილს. დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტს კანონი არ დაურღვევია. ეს „ოცნებამაც“ კარგად იცის, მაგრამ ამ თემას მისი დისკრედიტაციისთვის ატრიალებენ.

მარგველაშვილის მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, ქოცები შეეცდებიან, პრეზიდენტად 100%-იანი მონა დასვან, რომელიც თავიდანვე იქნება დისკრედიტირებული.

დარწმუნებული ვარ, რომ კანდიდატად ისეთ პიროვნებას ეძებენ, ვისზეც ბევრი კომპრომატი იარსებებს. ეს კომპრომატები მისი მონობის გარანტი იქნება. მონა-პრეზიდენტი ივანიშვილის სურვილების შემსრულებელი უნდა იყოს და მას არაფრის უფლება არ უნდა ჰქონდეს.

– ისედაც არანაირი უფლება აღარ აქვს პრეზიდენტს.

– დარჩენილი უფლებებითაც შეუძლია პრეზიდენტს რაღაცის გაკეთება. ქოცებისთვის მისაღები კანდიდატი მხოლოდ 100%-იანი მონაა.

– ამბობთ, რომ ისეთ პიროვნებას ეძებენ, ვისზეც ბევრი კომპრომატი იქნებათ. ამ მიმართულებით დამატებით რაიმე ინფორმაცია ხომ არ გაქვთ?

– ვიცი, რომ კომპრომეტირებულს არჩევენ. რაც მეტი კომპრომატი იარსებებს მასზე, მით უკეთესი ივანიშვილისთვის.

– რომელიმე კანდიდატის ვინაობა ხომ არ იცით?

– შეიძლება რაღაც ვიცი, მაგრამ ამაზე მომდევნო ინტერვიუში ვისაუბროთ. ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ივანიშვილისთვის 100-იანი მონის ძებნა მიდის.

– მონის შესარჩევად დაბრუნდა ივანიშვილი პოლიტიკაში? ჩრდილში ვერ შეარჩევდა?

– როგორ ვერ შეარჩევდა, ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ისედაც ეგ იღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას. მონის შესარჩევად არ დაბრუნებულა, მისი მეორედ მოსვლა სპექტაკლია. საპრეზიდენტო არჩევნების წინ „ოცნება“ დადგამს სპექტაკლს კეთილ მეფეზე, რომელიც იმიტომ მობრუნდა, რომ ქვეყანა დაალაგოს და პარტია გაწმინდოს.

ივანიშვილი რომ დაბრუნდებოდა, ეს მაშინვე ცხადი იყო, როცა წავიდა. მაშინაც ვამბობდი, რომ აუცილებლად დაბრუნდებოდა. ამას უფრო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ველოდი, მაგრამ, ეტყობა, ისე გაუჭირდა მის პარტიას, რომ იძულებული გახდა, აჩქარებულიყო. „ოცნება“ თავის მთავარ კოზირს საპრეზიდენტო არჩევნებზე გამოიყენებს.

– რაც ალბათ იქნება კიდევაც მისთვის წარმატების გარანტი.

– ყველაფრის მიუხედავად, მინდა მჯეროდეს, რომ საზოგადოება ამ გაფუჭებულ ფაფას მეორედ აღარ შეჭამს. ან როგორ უნდა დაუჯერონ იმ ადამიანს, რომელმაც ყველას დაანახა, რომ არაჩვეულებრივი მატყუარაა. მან უარი თქვა ყველა დაპირების შესრულებაზე. სამართლიანობის აღდგენას ვინ ჩივის, მურუსიძეს ჩააბარა სასამართლო სისტემა.

2012 წელს მოსახლეობას ჰპირდებოდა, რომ დიდი ყურადღება მიექცეოდა ეკოლოგიას, მაგრამ მოვიდნენ თუ არა, ბუნების გაჩანაგება დაიწყეს.

ხალხს ჰპირდებოდა, რომ საქართველო უარს იტყოდა გიგანტურ ჰესებზე. უარი თქვეს კი არა, დამატებით 150 ჰესის აშენებას აპირებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ხეობა აღარ დარჩება, სადაც ან კაშხალს არ ააშენებენ, ანდა მდინარეს მილებში არ მოაქცევენ.

ჩვენ ვნახეთ, რომ მიხეილ სააკაშვილის დროინდელი ჯალათების, მკვლელების, ზონდერ-მოსამართლეების უმეტესობა დღესაც თბილ ადგილებზე ზის. „ოცნება“ ავადსახსენებელ 9 წელს მხოლოდ გულის მოსაფხანად იხსენებს. ამ 9 წელს მხოლოდ ახსენებენ, ამ სისხლიანი პერიოდის შემოქმედთა საქმეები სასამართლო დარბაზამდე არ მიჰყავთ. მხოლოდ ტელესამართლით არიან დაკავებული.

გასულ კვირას ტურისტები მყავდა დარიალის ხეობაში. იქ საშუალება მომეცა, მენახა მდინარე ბროლისწყლის ფსკერი. ამ ულამაზესი მდინარიდან ღელეც კი აღარ დატოვეს. მთელი მდინარე ჰესის მილებში გაუშვეს.

– არადა ივანიშვილი ამ მდინარეზე ამბობდა, რომ ჰესი მხოლოდ 20%-ს მოიხმარდა.

– ამბობდა, მაგრამ გააკეთა ის, რაც სააკაშვილის ხელისუფლებას ჰქონდა დაგეგმილი. ბროლისწყალთან და ხუდონჰესთან დაკავშირებით, ივანიშვილს, როცა ის პრემიერი იყო, პატრიარქმაც მიმართა. პატრიარქი შიშობდა, რომ აქ ჰესების აშენებას ცუდი შედეგები მოჰყვებოდა. ამაზე ივანიშვილი ძალიან გაბრაზდა და თქვა, პატრიარქი შეცდომაშია შეყვანილიო. ჩადით, ბატონო, დარიალის ხეობაში და ნახეთ მდინარე ბროლისწყალი. იქვე ღელედქცეული თერგითაც „დატკბებით“.

ანალოგიური ვითარება იქნება საქართველოს ყველა რეგიონში. ფაქტიურად მდინარე აღარ დაგვრჩება. ეს არის ეკოციდი და ამაზე ხალხმა ხმა უნდა ამოიღოს. ამდენი ჰესი საქართველოს არაფერში არ სჭირდება.

– ჰესომანები და ხელისუფლების ექსპერტები ამბობენ, რომ საქართველოში მალე ელექტროენერგიის მოხმარება გაიზრდება და ამიტომ არის საჭირო ამდენი ჰესის აშენება.

– რა დასკვნის საფუძველზე ამბობენ, რომ საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარება გაიზრდება. რაღაც ვერსიები მეც მოვუსმინე და განსაკუთრებული აქცენტი კონდენცირებაზე კეთდებოდა, ამდენი ჰესი მაინც არაა საჭირო, არა მგონია, მთელი ქვეყანა კონდენციონერად გადაიქცეს.

ისე, შესაძლოა, მართლაც კონდენცირებისთვის იყოს საჭირო ამდენი ჰესი და დამატებითი ელექტროენერგია. „ქართული ოცნების“ ბელადს მჭიდრო კავშირი აქვს ბიტკოინებთან. ბიტკოინების გამომუშავებას დიდი რაოდენობით ელექტროენერგია სჭირდება.

ბევრი ელექტროენერგია სჭირდება იმ სისტემას, რომლითაც ბიტკოინების გამომამუშავებელი სერვერების გაგრილება უნდა მოხდეს.

ამ ბიტკოინების წარმოებით ოლიგარქი უამრავ ფულს იშოვის და მას სულ ფეხებზე ჰკიდია, რომ ეს საქართველოს გაანადგურებს.

მთელი ქვეყანა იმიტომ აქციეს კაშხალებად, რომ იქ გამომუშავებული ელექტროენერგია ბიტკოინებს და რუსულ ბაზებს მოახმარონ. დადასტურებულია, რომ შიდა ქართლის ტერიტორიაზე მდებარე რუსულ სამხედრო ბაზებს ელექტროენერგიით ქართული მხარე ამარაგებს.

ელექტროენერგიის მოხმარება მართლა შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ ამ საკითხის მოგვარება სხვა გზითაც შეიძლება. არსებობს მზის ბატარეები. უცხოელ ტურისტებთან ერთად ხშირად დავდივარ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ბევრმა უცხოელმა ტურისტმა გაკვირვებით მკითხა, ასეთი მზიანი ქვეყანა გაქვთ და მზის ბატარეებს რატომ არ იყენებთო.

ამ სისტემას დასავლეთში უკვე აქტიურად იყენებენ. მზის ბატარეები აფრიკისთვისაც კი არ არის უცხო. მხოლოდ საქართველოში არ ხდება მისი გამოყენება.

– ხელისუფლებამ ვის აუკრძალა მათი გამოყენება?

– აკრძალვით არ აუკრძალია, მაგრამ მოსახლეობას ხელს არ უწყობს იმაში, რომ ასეთი სისტემები შეიძინონ. მზის ბატარეები საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და მათ შეძენას ყველა ვერ შეძლებს.

ეს ყველაფერი მოვაყოლე იმას, რომ ივანიშვილმა არც ერთი დაპირება არ შეასრულა. ქვეყანა ააოხრა და მისი მეორედ არავინ არ უნდა ირწმუნოს.

ნახეთ, რა ხდება ქვემო ქართლში. რეგიონი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დგას და ესეც ივანიშვილის არემჯი გოლდის დამსახურებაა. გარდა იმისა, რომ გვწამლავენ, კულტურულ მემკვიდრეობასაც ანადგურებენ. ჯერ საყდრისი ააფეთქეს, ახლა ფიტარეთს მიადგნენ.

საზოგადოებამ უნდა შეიგნოს, რა საფრთხის წინაშე ვდგავართ. ამათ აღვირახსნილობას მხოლოდ ხალხის პროტესტი გააჩერებს.

– ხალხს საპროტესტო განწყობა არ აქვს.

– მალე ექნება. ყველა მიხვდება, რომ სახლში პროტესტის გამოხატვა და ცივი წყლის დალევა ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

კახა კუკავა: „პოლიციის მფარველობის გარეშე ნარკობიზნესი ვერ იარსებებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.

– ბატონო კახა, ბოლო პერიოდში ნარკოტიკის მოხმარების შედეგად 15-მდე ახალგაზრდა გარდაიცვალა. ამაში ღიად ადანაშაულებდნენ ღამის კლუბებს. თუმცა ჩვენ მოვისმინეთ ამ კლუბების მეპატრონეების განცხადებები, რომ ამ ინფორმაციებს პრორუსული ძალები უვრცელებენ. რამდენად სერიოზულად აღიქვა საზოგადოებამ მათი არგუმენტები?

– მეც მოვისმინე მათი განცხადებები და სოციალურ ქსელშიც გამოვეხმაურე ამ ფაქტს. აქამდე დარწმუნებული რომ ვყოფილიყავი მათ უდანაშაულობაში, მათი გუშინდელი განცხადება იყო სუფთა ქურდს ქუდი ეწვისო, ამ პრინციპიდან გამომდინარე. თურმე პუტინი ყოფილა დაინტერესებული, რომ ღამის კლუბებს ებრძოლოს საქართველოში. ეს სასაცილოა.

– ვინ არის ამ პროცესზე პასუხისმგებელი, რაც ნარკოტიკებთან დაკავშირებით ხდება?

– ერთი რამ ვიცი, რომ დამნაშავე არის შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომ ეს ყველაფერი ხდება. კლუბების მეპატრონეების იმიჯსა და მათ მიდგომებზე ვერ იქნება სახელმწიფო დამოკიდებული. კლუბი ასეთიც იქნება და ისეთიც. ამიტომ პასუხისმგებლობა ეკისრება პოლიციას. თვითონ ტერმინი – კლუბური ნარკოტიკი არის მავნებლური.

– რას გულისხმობთ?

– ეს არის მცდელობა, რომ საზოგადოებისთვის კატეგორიულად მიუღებელი მოვლენა ნელ-ნელა პოპულარიზაციის გზით გახადოს მისაღები. თუ საზოგადოებაში დაახლოებით 10 წლის წინ მიმდინარეობდა ასეთი კამპანია, რომ ქალაქში მკვლელია და მკვლელში იგულისხმებოდა ნარკოტიკი, ახლა საუბარია, რომ კლუბური ნარკოტიკია. მერე ამას დაერქმევა ოჯახის ნარკოტიკი და ნელ-ნელა ცდილობენ, რომ ის, რაც ჩვენი საზოგადოებისთვის იყო მიუღებელი, გახადონ მისაღები.

ეს კლუბურია, ეს მსუბუქია, გასართობია, მერე რა მოხდა. ასეთი გამონათქვამები კატეგორიულად მიუღებელია! სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არა მარტო ნარკოტიკების შემომტანს და მის გამავრცელებელს ეკისრება.

– კიდევ ვის ეკისრება?

– იმას, ვინც ამის პოპულარიზაციას აკეთებს! მოგეხსენებათ, თუ რამხელა ძალა აქვს პოპულარიზაციას. ხომ ვხედავთ, თუ რა ხდება მედიასაშუალებებით?! პირადად მე ნარკოტიკი ცხოვრებაში არ გამისინჯავს და არა იმიტომ, რომ ხელმისაწვდომობა არ მქონდა. თბილისში გავიზარდე და ნარკოტიკის მეტი რა იყო. აქ მთავარი როლი, ოჯახის გარდა და შეიძლება ოჯახზე უფრო მნიშვნელოვანი და მთავარი ფაქტორი რაც იყო, რომ მე ნარკოტიკთან შეხება არ მქონია, იყო სწორედ საზოგადოებრივი აზრი!

– ანუ საზოგადოებისთვის უნდა იყოს კატეგორიულად მიუღებელი?

– დიახ. მე გავიზარდე სწორედ იმ საზოგადოებაში, სადაც ნარკოტიკი იყო რაღაცა საშინელება! თუ ჩვენი შვილები გაიზრდებიან საზოგადოებაში, სადაც ნარკოტიკს ერქმევა კლუბური და მოდური იქნება, ძალიან რთული სათქმელია, რა არჩევანს გააკეთებენ ჩვენი შვილები. ამიტომ სწორედ ეს არის მთავარი დანაშაული, რომ არა მარტო კლუბები, არამედ ეს არასამთავრობოები ცდილობენ, რომ საზოგადოებრივი აზრი, ამ მიუღებელ საკითხთან დაკავშირებით, შეცვალონ ნეგატიურიდან პოზიტიურისკენ.

– ნარკობიზნესს ხელისუფლება მფარველობს?

– რა თქმა უნდა, ამაში ორი აზრი არ არის. სადაც არის ნარკობიზნესი და მას მასობრივი სახე აქვს, ეს ყველგან ხდება პოლიციის მფარველობით და პოლიტიკური ჯგუფის მფარველობით. ხომ წარმოუდგენელია, რომ პოლიციამ ვერ აღმოაჩინა ეს ბიზნესი, რომელშიც 50 ათასი კაცია ჩართული!

– შს სამინისტრომ ნარკორეალიზატორები დააკავა და დიდი ოდენობით ნარკოტიკიც ამოიღო.

– ეს აჩვენებს კიდევ ერთხელ იმას, რაც კლუბებზე ვთქვით, რომ ქურდს ქუდი ეწვისო.

– პოლიციას რატომ ეწვის ქუდი?

– რა, რუსთავი 2-ს რომ ის სიუჟეტი არ გაეკეთებინა, მანამდე პოლიციას ეძინა?! პოლიციამ დამნაშავე კი არ დააკავა, პოლიციამ რუსთავი 2-ის საპასუხო სიუჟეტი შემოგვთავაზა. ჯერ ტელევიზია უნდა იგებდეს ამას და მერე პოლიცია?!

ესეც აჩვენებს იმას, რომ პოლიციას რეალურად დანაშაულის აღკვეთა კი არ აინტერესებს, არამედ პიარზე მუშაობს. ტელევიზიები უნდა იდგნენ პოლიციის კვალში და არა პირიქით, რომ პოლიცია მიჰყვება ტელევიზიების სიუჟეტებს. აქ იყო სუფთა საპასუხო სცენა, დაიდგა ახალი სიუჟეტი და არა ის, რომ ვინმე რეალურად ებრძვის ჩვენს ქვეყანაში ნარკობიზნესს. ეს ძალიან დიდი ბიზნესია.

– ძალიან დიდი ფული იშოვება?

– ამას ბევრი არასერიოზულად უყურებს. ეს არის უფრო დიდი ბიზნესი, ვიდრე საქართველოში ერთად აღებული ბენზინის, მედიკამენტების და სასურსათო პროდუქცია! ამ ყველაფერზე მეტი ფული მოაქვს ნარკოტიკს და არ უნდა გვიკვირდეს, რომ ამაში ხელისუფლების წარმომადგენლები არიან ჩართულები!

ლადო სადღობელაშვილი ცუდად არის, მაგრამ შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებს

თამარ იოვაშვილი: „მივმართავ საპატრიარქოს, შედით ციხეში მოშიმშილეებთან და დაელაპარაკეთ“

შორენა მარსაგიშვილი

პატიმრობაში მყოფმა ქართული მარშის წევრებმა 30 აპრილს შიმშილობა გამოაცხადეს. რამდენიმე მათგანის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. 3 მოშიმშილე ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ლადო სადღობელაშვილია. მას საკმაოდ მძიმე დაავადება – თანდაყოლილი ანემია, ბე-12 ვიტამინის ნაკლებობა აქვს და მისთვის შიმშილობა აკრძალულია.

ლადო სადღობელაშვილის დედა, თამარ იოვაშვილი, „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს რომ მისი შვილი შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებს. ის დახმარებას სასულიერო პირებს სთხოვს.

თამარ იოვაშვილი:

– ქართული მარშის წევრებმა 30 აპრილს ციხეში შიმშილობა გამოაცხადეს და რამდენიმე დღეში მათ ჩვენც გამოვუცხადეთ სოლიდარობა. მეც ვშიმშილობდი, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ექიმების მოთხოვნით, იძულებული გავხდი, შიმშილობა შემეწყვიტა.

შიმშილობა შევწყვიტე, მაგრამ მაინც ძალიან მძიმედ ვარ. მძიმედ ვარ, რადგან ჩემი შვილია ძალიან ცუდად. შიმშილობის გამო ის ისე ცუდად გახდა, საავადმყოფოში გადაიყვანეს. დარწმუნებული ვარ, იქ მას ყველა საჭირო დახმარებას აღმოუჩენენ, მაგრამ ამით მისი მდგომარეობა არ გაუმჯობესდება.

– რატომ არ გაუმჯობესდება?

– ლადოს აქვს თანდაყოლილი ანემია, ბე-12-ის ნაკლებობა, ის მთელი ცხოვრება დიეტაზე უნდა იყოს და სპეციალური საკვები მიიღოს. ციხეში, მოგეხსენებათ, ასეთი სპეციალური რაციონი არ არის. ლადოს ჯანმრთელობას პრობლემები ჯერ კიდევ მაშინ შეექმნა, სანამ შიმშილობას გამოაცხადებდნენ.

ახლა ლადო ძალიან მძიმედ არის, მაგრამ შიმშილობის შეწყვეტაზე უარს აცხადებს. ამბობს, რომ სასიკვდილო შიმშილობა აქვს გამოცხადებული.

– არ სთხოვეთ, რომ შიმშილობა შეეწყვიტა?

– როგორ არ ვთხოვეთ, მაგრამ უარს ამბობს. ძალიან გაბრაზებულია იმის გამო, რომ უკანონოდ ზის ციხეში. მისიც მესმის, მაგრამ ძალიან მეშინია, ეს შიმშილობა ლადოსთვის ძალიან მძიმედ არ დასრულდეს.

– რამდენიმე დღის წინ ქართული მარშის ლიდერი სანდრო ბრეგაძე საპატრიარქოში იმყოფებოდა და იქიდან დაიმედებული გამოვიდა.

– სანდროს უთხრეს, რომ პატრიარქი ამ ბიჭებს მხარს უჭერს. ითხოვეს, რამდენიმე დღე გვაცალეთო.

– რას აპირებენ რამდენიმე დღეში?

– არ ვიცი. მხოლოდ ეს თქვეს, რამდენიმე დღე გვაცალეთო.

– არავინ არ შეგხმიანებიათ საპატრიარქოდან?

– არავინ. რამდენიმე დღის გასვლას ელოდებიან ალბათ. ეს რამდენიმე დღე შესაძლოა 10 ან 20 დღეც კი იყოს. მათი პოზიცია მოშიმშილეებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

– მოშიმშილეებთან თუ შევიდა სასულიერო პირი?

– არ შესულა. ძალიან მწყინს, ასე რომ ხდება. ეს ბიჭები ხომ იმიტომ დაიჭირეს, რომ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა გააპროტესტეს. მათ არავინ არ უცემიათ, უდანაშაულები არიან და სასიკვდილო შიმშილობა აქვთ გამოცხადებული.

საპატრიარქომ რამდენიმე დღე ითხოვა, ეს რამდენიმე დღე ჩემი შვილისთვის შესაძლოა საბედისწერო აღმოჩნდეს. ამიტომ ვისარგებლებ შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ საპატრიარქოს – შედით ციხეში მოშიმშილეებთან და დაელაპარაკეთ.

მე ძალიან მეშინია. ლადო ძალიან ჯიუტია. აი, რა შემომითვალა მან ციხიდან: „მე მზად ვარ ჩემი სიცოცხლის ხარჯზე, „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ კარიერას დავუსვა ის შავი ლაქა, რომელსაც ვერასოდეს ჩამოირეცხავს“.

ქეთევან ციხელაშვილი: „ევროკავშირი მხარდაჭერას გვიცხადებს კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის საკითხში“

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი თბილისში ვიზიტად მყოფ ევროპარლამენტის უსაფრთხოებისა და თავდაცვის ქვეკომიტეტის ჯგუფის წევრებს შეხვდა.

სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციით, შეხვედრაზე სახელმწიფო მინისტრმა სტუმრებს ახალი სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ გააცნო და ყველა იმ ასპექტზე ისაუბრა, რასაც ინიციატივა გულისხმობს.

ქეთევან ციხელაშვილმა შეხვედრას მნიშვნელოვანი უწოდა და განაცხადა, რომ აღნიშნულ ჯგუფთან უსაფრთხოებისა და გადაუჭრელი კონფლიქტის პრობლემატიკაზე საუბარი მანამდეც ყოფილა.

– ვისაუბრეთ არსებულ სიტუაციაზე, იმ გამოწვევებზე, რომლებიც ჩვენ და ჩვენს მოსახლეობას ყოველდღიურად გვექმნება. ასევე, იმ ძალისხმევაზე, რასაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს.

საუბარი აგრეთვე შეეხო ახალ სამშვიდობო ინიციატივებს, რომელიც პირველი მოსმენით პარლამენტის პლენარულ სესიაზე დამტკიცებულ იქნა. ვფიქრობთ, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი სამშვიდობო პოლიტიკის ფარგლებში. მას უკვე გააჩნია ევროკავშირის ძალიან მნიშვნელოვანი და ცალსახა მხარდაჭერა.

ევროპარლამენტი მუშაობს, რომ უახლოეს მომავალში იქნას მიღებული სპეციალური რეზოლუცია საქართველოზე, კონფლიქტზე, არსებულ სიტუაციასა და იმ მხარდაჭერაზე, რომელსაც ევროკავშირი გვიცხადებს კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის საკითხებში. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ასეთი რეზოლუციის მიღება ძალიან მნიშვნელოვანია და ამოცანა ახლა ის გახლავთ, რომ ჩვენი მეგობრები ევროპარლამენტიდან მაქსიმალურად ობიექტურად ინფორმირებულები იყვნენ. ამ ვიზიტის ფარგლებში მათ არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა აქვთ დაგეგმილი. აპირებენ ჩავიდნენ ხელოვნურ გამყოფ ხაზთან. ვფიქრობ, მათთვის ასეთი ინფორმაციის მიწოდებით შესაძლებელი იქნება სიტუაცია ობიექტურად აისახოს, – განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

შეხვედრის ბოლოს სახელმწიფო მინისტრმა ევროპარლამენტარების კითხვებს უპასუხა.

მედიანიუსი

„ივანიშვილი საპრეზიდენტო კანდიდატს „ოცნების“ გარეთ ეძებს“

ნათია ხურცილავა

სოსო ცინცაძე: „პარტიული პრეზიდენტი ქვეყნის გამაერთიანებელი ვერ გახდება“

ახალი პრეზიდენტი უნდა შევიდეს თუ არა ავლაბრის რეზიდენციაში? პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ამ და სხვა საკითხებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, რომ ახალი პრეზიდენტის ოფისი მის ფუნქციებთან და საკონსტიტუციო როლთან უნდა იყოს შესაბამისი. თუ ახალი პრეზიდენტი „ქართული ოცნების“ კანდიდატი გახდა, ავლაბრის რეზიდენციაში არ შევა?

– ალბათ არ შევა. ყველას კარგად ახსოვს, ბიძინა ივანიშვილსა და გიორგი მარგველაშვილს შორის თუ რა გახდა პირველი დაპირისპირების მიზეზი, ამიტომ ეს თავმოყვარეობის საკითხიც არის ივანიშვილისთვის.

თავის დროზე ამხელა სასახლის მშენებლობა არ იყო სწორი გადაწყვეტილება, მაგრამ ეს შენობა უკვე არსებობს. მილიონობით ხარჯი გაწეულია, ამიტომ ახლა მისი ჩამორთმევა თუ ფუნქციის შეცვლა, არ მგონია, სწორი გადაწყვეტილება იყოს. რაღა დაგიმალოთ და არც მე მომწონს, პრეზიდენტი რომ ამხელა, უშველებელ სასახლეშია გამაგრებული, თუმცა, არც ის ივარგებს, რომ ერთი ოთახი და ერთი საპირფარეშოღა ჰქონდეს პრეზიდენტს, რადგან ამით კიდევ უფრო დავამცრობთ მას, მის როლსა და ფუნქციას.

მე მომწონს ორბელიანების სასახლე, ათონელის ქუჩაზე მდებარე რეზიდენცია, მაგრამ აქ რეალურ პრობლემას ვაწყდებით, რა უნდა ვუყოთ ავლაბრის სასახლეს, პროფილი უნდა შეიცვალოს?! ათასი აზრი მოვისმინე, რომ უნივერსიტეტი უნდა გახდეს და ა.შ. მაგრამ მისი შენახვა რომ მილიონი ჯდება, რომელი უნივერსიტეტი შეინახავს მას?! თავის დროზე ქორწინების სასახლე, ვინაიდან მან ფუნქცია დაკარგა, ბადრი პატარკაციშვილს სულ ძალით აყიდინეს. ახლა რომელ ბიზნესმენს უნდა აყიდინონ ავლაბრის სასახლე და რა დატვირთვა უნდა მიეცეს მას?! პრობლემური საკითხია.

– ათონელის ქუჩაზე მდებარე სასახლე მისაღებია?

– რასაკვირველია, მშვენიერი შენობაა ორბელიანების სასახლე, წინ ულამაზესი ბაღით. სწორედ ახალი კონსტიტუციით არჩეული პრეზიდენტის უფლებამოსილებების შესაბამისია. თუმცა, თუ უშიშროების საბჭო აღდგა მთელი თავისი აპარატით, მაშინ შეუძლებელია ათონელის ქუჩაზე მათი ერთად განთავსება. ამიტომ შეიძლება პრეზიდენტი და უშიშროების საბჭო ერთად განთავსდეს ავლაბრის რეზიდენციაში. ეს მსჯელობის საგანია.

– საერთოდ როგორია საპარლამენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტის რეზიდენციები?

– ევროპაში ბევრი პრეზიდენტის რეზიდენცია მინახავს. ავლაბრის რეზიდენციასა და ორბელიანების სასახლის შუა რაღაც საშუალო რომ ავიღოთ, ისეთია. არც ძალიან დიდი და არც პატარა. პრეზიდენტი მაინც ქვეყნის სიმბოლოა და მასთან დაკავშირებული ყველაფერი ჟღერს.

– რამდენიმე ადამიანმა უარი უთხრა ივანიშვილს კანდიდატობაზე. როგორ ფიქრობთ, რატომ ამბობენ უარს?

– მე რამდენადაც ვიცი, ოთხმა ადამიანმა უარი უთხრა, ვიცი, რომ ეს ადამიანები პარტია „ქართული ოცნების“ გარეთ მდგომნი იყვნენ ანუ არაპარტიულები. ეს არის სწორი გადაწყვეტილება, რომ ივანიშვილი პარტიის გარეთ ეძებს საპრეზიდენტო კანდიდატს და არა – გუნდის შიგნით.

– გამაერთიანებელი, არბიტრი, როგორც თავად ამბობენ, პარტიული კანდიდატი ვერ იქნება.

– რასაკვირველია. ამას ამბობენ თვითონ და ეს სწორი მიდგომაა, თუ, რა თქმა უნდა, ამ მიდგომას დაიცავენ. მაგალითად, დათო მაღრაძისგან არავინ მოითხოვს, რომ ბისმარკის დონის პოლიტიკოსი იყოს. მთავარია პატიოსნება და ღირსება. ამ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს და, რაც მთავარია, არ უნდა ჰქონდეს ისეთი რეიტინგი ხალხში, როგორიც „ოცნების“ ნებისმიერ წევრს ექნება. მაღრაძე კარგი კანდიდატი იქნებოდა, მაგრამ უარი თქვა. საფრანგეთში 1848 წლის რევოლუციის შემდეგ, ბურბონები რომ გაყარეს საბოლოოდ, პირველი პრეზიდენტი პოეტი ლამარტინი იყო, მის შემდეგ იყო ნაპოლეონ მე-3.

მე პიროვნულად არაფერი საწინააღმდეგო მაქვს არც სოზარ სუბარის და არც თედო ჯაფარიძის, მაგრამ არც ერთი და არც მეორე ვერც გამაერთიანებელი იქნება და ვერც – არბიტრი. ისინი მაინც პარტია „ქართულ ოცნებასთან“ ასოცირებულები იქნებიან, ამიტომ არაპარტიული კანდიდატი ჯობია. მეტიც, ქვეყნის იმისთვისაც ჯობია, მაგრამ, როგორც ჩანს, არაპოლიტიკოსთა დათანხმება რთულია. ამიტომ, როგორც ამბობენ, ისევ შიგნიდან ხდება არჩევანი, რაც არ იქნება იმ შედეგის მომტანი, რაც ზეპარტიული კანდიდატის შემთხვევაში იქნებოდა.

მე მაინც დიდი ინტერესით ველოდები ყრილობაზე ივანიშვილის გამოსვლას. ალბათ თავის საგზაო რუკაზე, თუ რას აპირებს, ერთ-ორ სიტყვას გვეტყვის. ამის შემდეგ ანალიზის გაკეთება შეგვეძლება და მეტი ინფორმაციაც იქნება ჩვენთვის ცნობილი.

რატომ უხდის მადლობას თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრი აფხაზებს?

აფხაზთა მსოფლიო კონგრესი მსოფლიოს აფხაზების მოზიდვას გეგმავს

მარიამ მჭედლიშვილი

სანამ ოკუპირებული აფხაზეთის პოლიტიკური წრეები არკვევენ, ვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა 2017 წლის შეუსრულებელ ბიუჯეტზე, სად არის გამოსავალი ყველა სფეროში შექმნილი კრიზისიდან, აფხაზთა ნაწილი სხვა საკითხებითაა დაკავებული.

აფხაზ-აბაზინთა მსოფლიო კონგრესმა თურქეთში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა აქტივობაში.

აფხაზ-აბაზინთა მსოფლიო კონგრესს ყოველთვის ჰქონდა კონტაქტები თურქეთთან და იქ მცხოვრებ აფხაზურ დიასპორასთან. ორიოდე წლის წინ მათი აქტიურობით თურქეთში გამოიცა გაზეთის რამდენიმე ნომერი აფხაზეთზე, სადაც აფხაზეთი სახელმწიფოდ იყო წარმოდგენილი. გათვალისწინებული იყო გაზეთის სხვა ნომრების გამოშვებაც, მაგრამ ეს განზრახვა ვერ შესრულდა. შესაძლოა, ამაზე გავლენა მოახდინა თბილისის პროტესტმა.

თურქეთში ჩასული აფხაზ-აბაზინთა კონგრესის პრეზიდიუმის თავმჯდომარე მუსა ეკზეკოვი შეხვდა თურქეთში აფხაზური კულტურის ცენტრების ფედერაციის თავმჯდომარე ატანურ აკსოის. ღონისძიებებს ესწრებოდნენ ასევე აფხაზეთის ე. წ. სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთში ვადიმ ხარაზია, ასევე აფხაზეთის რეპატრიაციის მინისტრი ბესლან დბარი.

სტუმრები და მასპინძლები ეწვივნენ თურქეთში მცხოვრები აფხაზი ქალების ხელით ნახელავი ნაკეთობების გამოფენას. საქარიას რეგიონში სოფელ ბალბალიში ისინი დაესწრნენ ყოველწლიურ ზეიმს, რომელიც მე-14-ჯერ გაიმართა. იქაური აფხაზ-აბაზინელები აღნიშნავენ უხუცესთა გადაწყვეტილებას აფხაზურ ქორწილებში სროლის აკრძალვის თაობაზე.

აფხაზურ ქორწილებში დამკვიდრებული ჩვეულება დიდ თავის ტკივილს უჩენდა თურქეთს. ქვეყნის სამართალდამცავებისათვის მისი გადავარდნა ზეიმის მიზეზი გახდა. წელს ზეიმს დაესწრო თურქეთის შინაგან

საქმეთა მინისტრი, რომელმაც მადლობა გადაუხადა აფხაზ ახალგაზრდებს უხუცესების მოწოდების გაზიარებისათვის.

– აღფრთოვანებას იწვევს ის, თუ როგორ სათუთად ეკიდებიან აფხაზი ახალგაზრდები უხუცესთა სიტყვას. ამის შედეგად მიღწეულ იქნა შედეგი, რომელიც პოლიციამ ვერ მიიღო. მადლობა ახალგაზრდობას იმისათვის, რომ ამ წლების განმავლობაში ქორწილებში არ ყოფილა სროლა და არ მომხდარა უბედური შემთხვევა, – აღნიშნა თურქეთის მთავარმა პოლიციელმა სულეიმან სოილუმ.

აფხაზ-აბაზინთა მსოფლიო კონგრესი გააქტიურების პირობას ადრეც დებდა. მუსა ეკზეკოვმა თურქეთში გამოაცხადა, რომ ორგანიზაცია თურქეთის დიასპორასთან უფრო მჭიდროდ და ეფექტურად ითანამშრომლებს.

– განზრახული გვაქვს, ჩვენს საქმიანობაში ჩავრთოთ ყველა აფხაზი მთელ მსოფლიოში. შემუშავებულია შესაბამისი პროგრამები, რომლებიც მუშაობს და იძლევა შედეგს.

ბოლო დროს ოკუპირებულ აფხაზეთში კულტურულ-საგანმანათლებლო აქცენტს ჩინეთთან მიმართებითაც აკეთებენ. ოკუპირებულ რეგიონში აფხაზურ-ჩინური კულტურის ცენტრი ყალიბდება.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ალეკო გვარამიამ და აფხაზეთში ჩინელთა ასოციაციის თავმჯდომარემ გე ჩი ლიმ ამის თაობაზე სპეციალური ოქმი გააფორმეს.

ამ შეთანხმებით, აფხაზს ახალგაზრდებს საშუალება მიეცემათ, პეკინში ისწავლონ, აფხაზეთში მყოფ ჩინელებს კი აფხაზურ და რუსულ ენებს შეასწავლიან.

ჩინელთა ასოციაციის თავმჯდომარის აღტაცებას იწვევს აფხაზეთის ბუნება და „ბევრი ინტელიგენტი“ აფხაზეთში.

რატომ დააკავეს ისრაელში სოსო ოხანაშვილი

შორენა მარსაგიშვილი

პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსი სოსო ოხანაშვილი კვლავ ყურადღების ცენტრშია. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ოხანაშვილი ისრაელში დააკავეს. დაკავების ფაქტს კატეგორიულად უარყოფს მისი ოჯახი.

პირველი რადიოს ინფორმაციით, სოსო ოხანაშვილი თელავივის აეროპორტში რამდენიმე დღის წინ, 7 მაისს დააკავეს. ინტერნეტგამოცემის ცნობითვე, პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსი ისრაელში კიევი-თელავივის რეისით ჩაფრინდა.

გამოცემის წყაროს ინფორმაციით, ოხანაშვილის დაკავებასთან ერთად ისრაელში არ შეუშვეს არც ერთ მგზავრი, რომელსაც საქართველოს მოქალაქის პასპორტი ჰქონდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ისრაელის სამართალდამცველ უწყებებს მითითება ჰქონდათ, რომ ამ რეისზე მყოფი საქართველოს ყველა მოქალაქე შეემოწმებინათ. უცნობია, რჩება თუ არა პატიმრობაში ოხანაშვილი.

სოსო ოხანაშვილის დაკავება მედიასთან საუბარში კატეგორიულად უარყო მისმა მეუღლემ ეკა შიოლაშვილმა.

მთავარ პროკურატურაში აცხადებენ, რომ სოსო ოხანაშვილის დაკავებასთან დაკავშირებით ქართულ მხარეს არც ერთი ქვეყნისთვის არ მიუმართავს.

საგამოძიებო უწყებაში ასევე განმარტავენ, რომ ოხანაშვილის წინააღმდეგ საქართველოში არც ერთი სამართლებრივი საქმე არ არის აღძრული.

ციანიდის სკანდალის შემდეგ, სოსო ოხანაშვილმა მედიასთან საუბარში არ გამორიცხა, რომ მისი დაკავებაც იგეგმებოდა. დეკანოზმა გიორგი მამალაძემ არაერთხელ აღნიშნა, რომ დაკავების დღიდან მას სთხოვდნენ სოსო ოხანაშვილისთვის და მეუფე დიმიტრისთვის ცილისწამებას, თითქოს ისინი პატრიარქის მოშორებას გეგმავდნენ.

მართალია, ოფიციალურად ამას არავინ არ ადასტურებს, მაგრამ როგორც ამბობენ, ქართველ სამართალდამცავებს სოსო ოხანაშვილი დაკავებული ჰყავდათ. ის იმავე დღეს დააკავეს, როდესაც დეკანოზის დაკავება მოხდა. ის გერმანიიდან თბილისში ჩამოიყვანეს. თუმცა ძალიან მალე ისევ უკან დაბრუნდა, სადაც პატრიარქს ოპერაცია უნდა გაეკეთებინა. სოსო ოხანაშვილი კი მისი დაცვის უფროსი იყო.

საქართველოში პატრიარქის დაბრუნების შემდეგ, ოხანაშვილმა თანამდებობა დატოვა. გასული წლის აპრილში კი ის საქართველოდან წავიდა. თავიდან ის გერმანიაში ცხოვრობდა. ციანიდის საქმეზე სასამართლოს ჩვენება სკაიპით მისცა.

რამდენიმე თვის წინ ის უკვე რუსეთში შენიშნეს. ოხანაშვილი ერთ-ერთ ბიზნესფორუმზე იმყოფებოდა.

ახლახან ცნობილი გახდა, რომ მან რუსეთში იშოვა ახალი სამუშაო. ის სანკტ-პეტერბურგის მერიის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის დაცვის უფროსია.

ამ თემაზე საუბარი პარლამენტშიც იყო, როდესაც საკანონმდებლო ორგანოს სუსის უფროსის მოადგილე სტუმრობდა. ოხანაშვილთან დაკავშირებით მას კითხვა დეპუტატმა ირმა ნადირაშვილმა დაუსვა.

რომან გოცირიძე: „მთავრობამ ეროვნული ბანკი ფეხქვეშ გაიგდო“

ნონა ცაბაძე

„ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციები ცხოვრებას გაართულებს“

„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე, რომან გოცირიძე პასუხობს.

– ბატონო რომან, საზოგადოებაში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა ეროვნული ბანკის რეგულაციებს. რამდენად იმუშავებს ეს და საერთოდ რასთან გვაქვს საქმე?

– ძალიან სამწუხაროა, რომ მთავრობამ ეროვნული ბანკი გადაიყვანა თავის ჭკუაზე და ეროვნულმა ბანკმა დაკარგა ის მიდგომები, რაც ჰქონდა დღემდე და რამაც შექმნა ფაქტობრივად საქართველოში ძლიერი ფინანსური სექტორი და ის შედეგი, რასაც ჩვენ საბანკო სისტემაში ვხედავთ, ეს ყველაფერი სწორედ ზედმეტი რეგულირებისგან გათავისუფლების შედეგი იყო.

როგორც კი მოვიდა ახალი ხელისუფლება, მან პირდაპირ დაიწყო ზეწოლა ეროვნულ ბანკზე. კარგად გვახსოვს ეს ისტორია. როგორი შეტევა იყო, როგორ უნდოდათ მისი გახლეჩა. საბოლოო ჯამში მივიღეთ ის, რომ საქართველოს საბანკო სისტემა გახდა ძალიან მონოპოლიზებული. ხდება ბანკების შერწყმა და ჩამოყალიბდება სამ თუ ოთხბანკიანობა და ეს ძალიან ცუდი ტენდენციაა.

– მონოპოლიაა ამ სფეროში?

– სამწუხაროდ, მონოპოლიზაციისკენ მივდივართ. როგორც მთავრობამ შეცვალა ლიბერალური კურსი და გადავიდა ამ რეგულირებულ პოლიტიკაზე, მილიარდობით ფული ჩაყარეს სხვადასხვა მიმართულებით და ამ რეგულაციებისკენ სწრაფვა გადაედო ეროვნულ ბანკსაც. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ფაქტობრივად მთავრობამ ფეხქვეშ გაიგდო ეროვნული ბანკი.

– თქვენ ასე ფიქრობთ?

– აბა, ამაზე დიდი დამცირება რა უნდა იყოს ეროვნული ბანკისთვის, რომ თუ რა მოხდება საბანკო რეგულაციების კუთხით, ამას აცხადებს ფინანსთა მინისტრი! გამოდის და გვეუბნება, რომ ისინი დაარეგულირებენ ყველა საკითხს და ასე შემდეგ.

– ანუ ფინანსთა მინისტრი მართავს პროცესებს ეროვნულ ბანკში?

– ფაქტობრივად, მთავრობას დაშინებული ჰყავს ეროვნული ბანკი. როდესაც ფინანსთა მინისტრი აცხადებს, რომ იქნება შეზღუდვები ლომბარდებთან დაკავშირებით, რომ ლომბარდებში ხალხმა ფული არ უნდა აიღოს, რომ მანქანები არ უნდა დააგირაოს, თურმე ეს კრიმინალურ გარჩევებთან ყოფილა დაკავშირებული. ყველაფერი ეს, რაზეც ფინანსთა მინისტრი საუბრობს, არის ეროვნული ბანკის პრეროგატივა. ფაქტობრივად, ეროვნული ბანკის ნაცვლად, რაღაც მომავალ გეგმებს აცხადებს ფინანსთა მინისტრი. ეს არის პირდაპირ დაცინვა ეროვნული ბანკის. რეალურად გამოდის, რომ ფინანსთა სამინისტრო და მთავრობა კარნახობს ეროვნულ ბანკს შემდგომ ნაბიჯებს. ახლა მთლად სასაცილო სიტუაცია შეიქმნა.

– რა თვალსაზრისით?

– როგორც ირკვევა, ეროვნულ ბანკს უნდა, რომ მიმოქცევიდან ამოიღოს ერთ და ორთეთრიანი. ან ევროპაში არ დადიან, ან ამერიკაში?! არსად უნახავთ ერთ და ორცენტიანები?!

– მიზეზად რას ამბობენ, რატომ უნდა ამოიღონ მიმოქცევიდან?

– ეს ინიციატივა პარლამენტში უკვე შემოიტანა მთავრობამ. ძალიან გულუბრყვილო მიზეზია, ვითომ ამას სერიოზული ხარჯები აქვს. ეს ძალიან დიდი სისულელეა! რა თქმა უნდა, ფულის ბეჭდვას აქვს ხარჯები, მაგრამ ეს ხარჯები არის წვრილმანი იმასთან შედარებით, რაც ამ ფულადი სისტემის სიმყარეს ემსახურება.

გარდა ამისა, ვის გაუგია ფასის დამრგვალების წესზე გადასვლა? მხოლოდ ხუთნიშნა მასშტაბზე გადავდივართ. ანუ ხუთ თეთრამდე უნდა იყოს დამრგვალებული.

ორი დიდი პრობლემაა, ერთი, რომ მთავრობა უხეშად ერევა ეროვნული ბანკის საქმიანობაში და მეორე, ეროვნულმა ბანკმა შეცვალა კურსი და გეზი აიღო ზედმეტი რეგულირებისკენ. საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში, დაახლოებით 10-12 წლის განმავლობაში, არც ერთი ახალი ბანკი არ გაჩნდება.

– რა გიჩენთ ამის თქმის საფუძველს?

– მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს თუკი ჰქონდათ შანსი, გადაქცეულიყვნენ ბანკებად, როდესაც 32 მილიონი იყო კაპიტალი. დღეს, ფაქტობრივად, 50 მილიონს ერთბაშად ვერავინ დადებს და ამიტომ ახალი ფინანსური დაწესებულების ზრდის და ახალი ბანკის წარმოშობის შანსი ფაქტობრივად გამქრალია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კიდევ უფრო მონოპოლიზაცია მოხდება საბანკო სექტორის და ქვეყანაში დარჩება სამი ბანკი.

– ბატონო რომან, რამდენად ზარალდება მომხმარებელი, რომელსაც ამ რეგულაციებით ეზღუდება სესხის აღება?

– ძალიან სერიოზულად დაზარალდება მომხმარებელი. მეზობელი მყავს ტაქსის მძღოლი, რომელსაც სმს-ით მისდის შეტყობინება, რომ მას შეუძლია აიღოს 1.000 ლარამდე სესხი. მას, ვთქვათ, აკუმულატორი გაუფუჭდება, ან სხვა ნაწილის შეცვლა უნდა, მიდის და ამ სესხს უპრობლემოდ იღებს და შემდეგ ყოველგვარი პრობლემის გარეშე აბრუნებს, რადგან მას აქვს შემოსავალი.

– რა შეიცვლება ამ რეგულაციებით?

– მას მოუწევს დაამტკიცოს, რომ აქვს შემოსავალი, ბანკში უნდა მივიდეს, ხელშეკრულება გაუფორმონ, უნდა აჩვენოს, რომ ტაქსის მძღოლობის ლიცენზია აქვს, დარეგისტრირებულია, ასევე უნდა აჩვენოს, რომ მისი მანქანა არ არის იმდენად ძველი, რომ მას გაღებული სესხის აღება შეუძლია და ასე შემდეგ! უამრავი ადამიანია, ვისაც არ აქვს ლეგალური შემოსავალი და ასეთი საქართველოში დაახლოებით მილიონამდე ადამიანია, რომელსაც აქვს სამუშაო, მაგრამ არ აქვს ოფიციალურად გამოწერილი ხელფასი – ტაქსის მძღოლები, ძიძები, მოსამსახურეები, რეპეტიტორები, ხელოსნები.

– და ყველა ეს კატეგორია დაზარალდება?

– რა თქმა უნდა! მათ არ აქვთ ოფიციალური ხელფასი და ამ ხალხს ძალიან ურთულდებათ ბანკებთან წვდომა. შემდეგ კი ეს ყველაფერი გადაინაცვლებს შავ ბაზარზე და დღეს, როდესაც ფულს რომ ვერ აბრუნებ, სახელმწიფოა შუამავალი, არსებობს კანონი, სასამართლო და შესაბამისი სამსახურები, ხვალ უკვე გაჩნდება კრიმინალი შუამავლები, რომლებიც ფულის ამოღებას დაიწყებენ.

– მევახშეობას შეუწყობს ხელს ეს პროცესი?

– ნამდვილად ასეა. იმ ადამიანებს, ვისაც ბანკი სესხს არ მისცემს, მოუწევთ, ორმაგ ფასში აიღონ სესხი. ეს ლომბარდების თემა ხომ საერთოდ სასაცილოა. ლომბარდები კომუნისტების დროსაც კი არსებობდა. როცა არ იქნება ბანკები, ლომბარდები, ფულს ვისგან ისესხებენ? ვისგან და მევახშისგან. ან მეზობლისგან და ნათესაებისგან ფულის სესხება მოუწევთ ხელფასიდან ხელფასამდე. გარდა ამისა, ეს სერიოზულ გავლენას მოახდენს ვაჭრობაზე, მიკროსაფინანსო სექტორის განვითარებაზე. ხოლო საბოლოო შედეგი იქნება ის, რომ ადამიანებს დაუმძიმებენ ცხოვრებას!

რა უნდა გაითვალისწინოთ ბინის შეძენისას

„მენაშენეთა ასოციაცია“ ბინის შეძენის მსურველთათვის რვაპუნქტიან რეკომენდაციას ავრცელებს.

როგორც „მენაშენეთა ასოციაცია“ იუწყება, „მენაშენეთა ასოციაცია“ მომხმარებლებს ბინის შეძენისთვის საჭირო რეკომენდაციებს აძლევს, რომლებიც ყოველთვის დაეხმარება მათ სწორი არჩევანის გაკეთებაში.

– ბინის შეძენისას უამრავი წვრილმანისა და ფუნდამენტური საკითხის გათვალისწინებაა საჭირო, რათა მომხმარებელმა ზუსტად ის მიიღოს, რაშიც ფულის გადახდას აპირებს.

რეკომენდაცია პირველი – სწორად შეარჩიეთ სამშენებლო კომპანია: უძრავი ქონების შეძენისას დააზუსტეთ კომპანიის ასაკი – გაარკვიეთ, რამდენი წელია, რაც სამშენებლო ბაზარზე მოღვაწეობს – მრავალწლიანი გამოცდილება დეველოპერის სტაბილურობაზე მეტყველებს;

დააზუსტეთ კომპანიის სამუშაო გამოცდილება – წარმატებით დასრულებული და შესახლებული ობიექტების არსებობა ნიშნავს თქვენთვის საინტერესო პროექტის დროულად, ხარისხიანად და უპრობლემოდ განხორციელებას;

დააზუსტეთ უკვე დასრულებული ობიექტების არსებობა – მოინახულეთ კომპანიის აშენებული და შესახლებული ობიექტები, რაც საშუალებას მოგცემთ, შეაფასოთ დეველოპერის მიერ შესრულებული ვალდებულებები, როგორც სახლის მშენებლობის, ისე სადარბაზოსა და გარემოს კეთილმოწყობის ხარისხი;

კომპანიის შესახებ რეკომენდაციები მიიღეთ არსებული მომხმარებლისგან – ყველაზე სანდო რეკომენდატორად სწორედ არსებული მომხმარებელი განიხილება, რომელსაც კომპანიასთან ურთიერთობის გამოცდილება აქვს. მიიღეთ რეკომენდაცია მათგან და დააზუსტეთ მათი კმაყოფილებისა თუ უკმაყოფილების მიზეზები.

„მენაშენეთა ასოციაცია“ მომხმარებლებს სულ 8 რეკომენდაციას აძლევს, რომლებიც, სასურველია, გაითვალისწინონ ბინის შეძენისა და შემდგომი სარგებლობისას“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ნავკისში ავანგარდულ სახლს ინდოეთის მოქალაქე აშენებს

თბილისის შემოგარენში, სოფელ ნავკისში, ავანგარდული, თანამედროვე სტილის სახლი შენდება, რომელსაც, სავარაუდოდ, სახურავზე ვერტმფრენის დასაჯდომი ადგილიც ექნება.

დედაქალაქის მერიის არქიტექტურის სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი შენდება. საბოლოო სამშენებლო ნებართვა გაცემულია მიმდინარე წლის აპრილში. პროექტირება ესპანეთში დარეგისტრირებულ საინჟინრო კომპანიას IBERPROEX E#GI#EERI#G & PROJECT MA#AGEME#T-ს ეკუთვნის.

ამავე მონაცემების მიხედვით, სახლის დიზაინმა პროექტირების მსვლელობისას გარკვეული ცვლილებები განიცადა, რაც კლიენტის მოთხოვნით იყო განპირობებული. საცხოვრებელი სახლი 1 ჰექტარსა და 3807 მეტრ ტერიტორიაზე აშენდება და სამსართულიანი იქნება. მთავარი შენობის გვერდით სამი სახლი განთავსდება. ამასთან ერთად, სახლთან იქნება სპორტული მოედანი, ტერასები, ბაღი, ხეხილი, ავტოსადგომი, ბარბეკიუ, მომსახურე პერსონალის სახლი და ა.შ.

„ბიზნესპრესნიუსის“ ინფორმაციით, შენობის სახურავზე, სავარაუდოდ, ვერტმფრენის დასაჯდომი განთავსდება, თუმცა სამშენებლო ნებართვაში აღნიშნული პუნქტი მითითებული არ არის. ჩვენივე ინფორმაციით, მშენებლობა უკვე დაწყებულია.

სახლის მეპატრონეა ინდოეთის მოქალაქე პარმინდერ კაურ. როგორც სამეწარმეო რეესტრის მონაცემებშია მითითებული, პარმინდერ კაურ შპს „სქაი ინტერნეიშენალის“ 50%-იან წილს ფლობს. ამავე კომპანიის დანარჩენ 50%-ს ასევე ინდოეთის მოქალაქე კაპილ შარმა ფლობს. რაც შეეხება თავად კომპანიას, სამეწარმეო რეესტრის მიხედვით, შპს „სქაი ინტერნეიშენალი“ თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე მდებარეობს. „ბიზნესპრენიუსი“ შეეცადა გაერკვია, რას საქმიანობს კომპანია, მაგრამ მსგავსი მონაცემები არ მოიძებნება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ აღნიშნული შპს 2016 წელს დაფუძნდა.

ამასთან, ცნობილია ის, რომ 2017 წლის დეკემბერში დედაქალაქის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან დაკავშირებით რამდენიმე სამშენებლო კომპანია გააფრთხილა. მათ შორის მოხვდა ნავკისში მშენებარე საცხოვრებელი სახლიც, რომელიც პარმინდერ კაურს ეკუთვნის. სავარაუდოდ, სწორედ ამას უკავშირდება პროექტის ცვლილებები და ხელახალი ნებართვაც, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, 2018 წლის აპრილში გაიცა.

თურქეთის ელჩი სეზონურ სამუშაოებზე საქართველოს მოქალაქეთა დასაქმების შესახებ კომენტარს აკეთებს

გვინდა, რომ ეს სამუშაო რეგისტრირებული გახდეს და ის ადამიანები, რომლებიც საქართველოდან თურქეთში სეზონურ სამუშაოზე მიდიან, კანონით იქნებიან დაცულები, – ამის შესახებ თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ფატმა სერენ იაზგანმა ილლნეწს.გე-ის თურქეთში საქართველოს მოქალაქეების სეზონურ სამუშაოებზე წასვლასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე განუცხადა.

მისი შეფასებით, საჭიროება რომ არ იყოს, ქართველები თურქეთში სეზონურად სამუშაოდ არ წავლენ. ფატმა სერენ იაზგანმა ასევე აღნიშნა, რომ თურქეთში სეზონურ სამუშაოზე წასვლა, როგორც წესი, ნებადართული არ არის, თუმცა საქართველოსთვის გამონაკლისს უშვებენ.

– თუ ამის საჭიროება არ არის, თუ არ არის ბაზარი, მოთხოვნა და მიწოდება, ასეთი რამ არ მოხდება. რაც მინდა ამასთან დაკავშირებით თურქეთში გაკეთდეს, არის ის, რომ ეს სამუშაო დავარეგისტრიროთ და ადამიანები, ვინც თურქეთში სამუშაოდ სეზონურად მიდიან, კანონითა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებით უზრუნველყოფილები იქნებიან, მათი უფლებები დაცული იქნება.

ჩვენი ემიგრაციის სამსახურის გენერალურმა დირექტორმა გამოაქვეყნა საინფორმაციო ბროშურები, რომლებიც ყველგან გამოაკრეს, ეს არის საინფორმაციო ფურცლები იმ ადამიანებისთვის, ვინც სეზონურ სამუშაოზე თურქეთში მიდიან. როგორც წესი, სეზონურ სამუშაოზე წასვლა ნებადართული არ არის, მაგრამ საქართველოსთვის გამონაკლისს ვუშვებთ. თურქეთში მხოლოდ აჭარიდან არ მიდიან და რასაც ვცდილობთ, რომ გავაკეთოთ, არის ის, რომ ეს გახდეს ოფიციალური, რეგისტრირებული და კომფორტული, – განმარტა თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში.

თურქეთში სეზონურ სამუშაოზე ჩაის და თხილის საკრეფად საქართველოდან ყოველწლიურად ასობით ადამიანი გადადის. მათი დროებითი საქმიანობის დარეგისტრირების მიზნით, თურქეთის მთავრობამ გასულ წელს მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც საქართველოს მოქალაქეს აქვს უფლება, თურქეთში სეზონურად ლეგალურად იმუშაოს.

ბპნ

„ჭადრაკი ის სფეროა, რომელსაც პროგრამული დაფინანსება სჭირდება“

მიმდინარე წლის შემოდგომაზე ბათუმში საქართველოში პირველად 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადა ჩატარდება. ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე მიიჩნევს, რომ ჭადრაკის მომავალი ინტერნეტთანაა დაკავშირებული, რადგან პროდუქტი ამ ეტაპზე ინტერნეტის საშუალებით იყიდება.

ფედერაციის პრეზიდენტმა „კომერსანტთან“ ჭადრაკის განვითარებასა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

– რამდენად დიდი პოპულარობით სარგებლობს დღეს ჭადრაკი ქვეყანაში და მისი, როგორც ბიზნესის, განვითარება როგორ ტემპებში მიმდინარეობს?

– საქართველოში ჭადრაკი ეროვნული სპორტის სახეობაა და ქვეყანაში ეს სფერო წლების განმავლობაში ვითარდება. ჩვენმა ჩემპიონებმა ქვეყნის ისტორია შექმნეს. ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ტახტი ჩვენ ქვეყანაში 30 წელი ზედიზედ იყო და სწორედ ამ დროს ქართული ჭადრაკის ფენომენი მსოფლიომ აღიარა. ჩვენი მოჭადრაკეები მსოფლიო მასშტაბით დიდ წარმატებებს აღწევენ.

2014 წლიდან ქვეყანაში ჭადრაკის განვითარების პროგრამა დაიწყო. ეს ის სფეროა, რომელსაც პროგრამული დაფინანსება სჭირდება, რადგან პროგრამულ დაფინანსებას სტაბილურობა და გარკვეულ პერიოდზე გათვლილი პერსპექტივა მოაქვს.

– ქვეყანაში სხვადასხვა სახის სპორტი დროთა განმავლობაში აქტიურად ვითარდება. ამ ეტაპზე საქართველოში ჭადრაკის განვითარებისთვის რა სახის პროექტები ეწყობა?

– ჭადრაკის განვითარება, რა თქმა უნდა, ეტაპობრივად გრძელდება. სკოლებში ინტერნეტ პროგრამებია, რომელსაც მოსწავლეები ითვისებენ. ეს ქვეყანაში ჭადრაკის განვითარებას ხელს უწყობს და მოზარდებში დიდ მოწონებას იმსახურებს. ჩვენ ამ პროექტებით პატარა თაობის დაინტერესებას ვცდილობთ, ეს კი ქვეყანაში ჭადრაკს პოპულარულს ხდის.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია და საქართველოს კორპორატიული სპორტის ფედერაცია საქართველოს პირველ კორპორატიულ ჩემპიონატს ჭადრაკში წარადგენენ, რომელიც 2018 წლის 23-24 ივნისს გაიმართება. ჩემპიონატი ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით 9 ტურად გაიმართება. მონაწილეობის უფლება აქვთ ბიზნესკომპანიების (კორპორაციების) გუნდებს.

– ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი თარიღი ახლოვდება. წელს მსოფლიოს 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადა საქართველოში პირველად გაიმართება. უამბეთ „კომერსანტის“ მკითხველს დეტალების შესახებ...

– დიახ, მიმდინარე წლის შემოდგომაზე ბათუმში ჩვენ ქვეყანაში პირველად 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადა ჩატარდება. 4.000-მდე სტუმარი გვეყოლება და მასში 189-მდე ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას. ოლიმპიადის მხარდამჭერი სამთავრობო კომისიაა. ველოდებით, რომ ოლიმპიადის განმავლობაში ღონისძიებას 15 მილიონამდე ინტერნეტ მნახველი ეყოლება. გამომდინარე აქედან, სპეციალურად ჭადრაკისთვის ინტერნეტ ტელევიზიის შექმნის იდეა მაქვს.

ოლიმპიადა ქვეყნის ცნობადობას გაზრდის. ოლიმპიადის ჩატარებაში 8-9 მილიონ ევრომდე ინვესტიცია ჩაიდება.

– რაც შეეხება მოჭადრაკეების პროფესიონალიზმს და მათ კვალიფიციურობას, არის თუ არა დღეს ქართულ ბაზარზე კვალიფიციური კადრების პრობლემა?

– კვალიფიკაციას დიდ ყურადღებას ვაქცევთ, განსაკუთრებით რეგიონებში, რადგან კვალიფიკაციის ამაღლების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. რეგიონებში მწვრთნელების გადამზადება მოხდება და ამას ფედერაცია აფინანსებს, ხოლო შემდგომ კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერთიფიკატის გაცემა ხდება.

„კომერსანტი“

„რა პრინციპით ხდება მედიკამენტებზე ასეთი მაღალი ფასების დაწესება, ჩემთვის გაურკვეველია“

მედიკამენტებზე არსებული მაღალი ფასები და სახელმწიფოს მხრიდან შესაძლო რეგულაციები – ამ თემაზე ისაუბრეს რადიო კომერსანტის გადაცემაში „პროფესიონალები“ ეკონომიკის დოქტორმა ირაკლი მაკალათიამ და ჯანდაცვის ექსპერტმა ირაკლი სასანიამ.

ირაკლი სასანია დადებითად აფასებს პენსიონერებისა და შშმ პირებისთვის ფასების განახევრების სამომავლო შესაძლებლობას.

– თუ ეს იდეა განხორციელდა, იგი იქნება ძალიან მნიშვნელოვანი წამოწყება და მას, რაც მთავარია, ექნება ორმაგი ეფექტი. პირველი, იგი მოსახლეობის დიდ ნაწილს შეუმსუბუქებს ფინანსურ ტვირთს და მეორე მხრივ, გარკვეული ზეწოლა განხორციელდება ფარმაცევტულ კომპანიებზე.

საზღვარგარეთ ფარმაცევტული კომპანიები მედიკამენტებზე ფასებს მას შემდეგ განსაზღვრავენ, რაც გაითვალისწინებენ მოსახლეობისა და სავარაუდო პაციენტების რაოდენობას, ისინი ატარებენ კლინიკურ კვლევებს, ჩართულნი არიან ამ პროცესში მკვლევარები, ითვალისწინებენ სარეკლამო ხარჯებს და ა.შ. საქართველოში, რა პრინციპით ხდება მედიკამენტებზე ასეთი მაღალი ფასების დაწესება, ჩემთვის გაურკვეველია.

– მედიკამენტებზე ფასების ზრდის ერთადერთი შემაკავებელი და მარეგულირებელი სახელმწიფოა. ამდენად, აღნიშნული ინიციატივა აიძულებს ფარმაცევტულ კომპანიებს, დაწიონ ფასები მედიკამენტებზე, – ამბობს ირაკლი სასანია.

კომერსანტი

ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე 6-თვიანი შეზღუდვა დაწესდა



თბილისის საკრებულომ ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების შეზღუდვის ვადა დაადგინა. საკრებულომ ეს გადაწყვეტილება 4 მაისს მიიღო.

გადაწყვეტილების თანახმად, აღნიშნულ ტერიტორიაზე შეიზღუდა: განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება; დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებასა ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანა; დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა დადგენილი ფუნქციური ზონების ცვლილების მიზნით და მიწის ნაკვეთების ნებისმიერი ფორმით სამშენებლოდ განვითარება (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა, I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობაზე წერილობითი დასტურის გაცემა).

– აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება – საცხოვრებელ ზონებზე, რომლისთვისაც დამუშავებულია „ჩარჩო გეგმა“ და რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია განაშენიანების რეგულირებისა და განაშენიანების სავალდებულო ხაზები; მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გამოყოფილია კოოპერატიული ბინათმშენებლობისთვის; ასევე მშენებარე შენობა-ნაგებობის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მცირედ კორექტირებაზე ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე ან მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებაზე, რომლის მშენებლობა განხორციელებულია მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, – ნათქვამია საკრებულოს გადაწყვეტილებაში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საკრებულოს დადგენილების თანახმად, აღნიშნული შეზღუდვა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე 6 თვით იმოქმედებს.

ცნობისთვის, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ქაოსური განაშენიანების საკითხს მიმდინარე წლის მარტში დედაქალაქის მერი კახა კალაძეც გამოეხმაურა და ამ ტერიტორიაზე განაშენიანების შეზღუდვაც დააანონსა.

ბპნ

რესტორნებს თამბაქოს მოწევის ლიცენზიას 15.000 ლარად სთავაზობენ

მას შემდეგ, რაც 1-ელი მაისიდან დახურულ შენობებში თამბაქოს მოწევა აიკრძალა, როგორც ჩანს, გარკვეულმა ჯგუფებმა რეგულაციების თავიანთ სასარგებლოდ გამოყენება, სარესტორნო ბიზნესის მოტყუება და კანონის გვერდის ავლით გარკვეული ფინანსური სარგებლის მიღება გადაწყვიტეს.

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონი ლიცენზიების გაცემის პირობებს მხოლოდ სიგარა-ბარების შემთხვევაში ადგენს. ე. წ. თაღლითური სქემით მოქმედი პირების შეთავაზება ასე გამოიყურება: თუ რომელიმე სარესტორნო დაწესებულება, კაფე თუ ბარი 15 ათას ლარს გადაიხდის, ისინი შესაბამის ლიცენზიას მიიღებენ და მათი მომხმარებლებისთვის დახურულ სივრცეში თამბაქოს მოხმარება დასაშვები გახდება. რესტორატორთა ასოციაციის იურისტი, შოთა ბურჯანაძე ამბობს, რომ რესტორნებმა მსგავსი შეთავაზებები მიიღეს, თუმცა მათი ვინაობა ცნობილი არ არის.

– ფიქრობ, ეს არის კრიმინალური შემთხვევა, როდესაც ვიღაც ადამიანების ჯგუფი, ატყუებს რესტორნის მფლობელს თუ მენეჯერს და სთავაზობს ლიცენზირებას. ვიღაც დადის და სთავაზობს რესტორნებს გარკვეულ პირობებს მოწევის ლიცენზირებასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს არის სიცრუე, რადგან კანონი ამას არ ითვალისწინებს, – განმარტავს ბურჯანაძე.

პრობლემის შესახებ საქმის კურსშია შესაბამისი სამთავრობო უწყებებიც. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში BM.GE-ს განუცხადეს, ლიცენზიების შეთავაზება არამხოლოდ თბილისში, არამედ რეგიონებში მოქმედმა სარესტორნო დაწესებულებებმაც მიიღეს.

– ძირითადად კაფე-რესტორნებიდან თბილისიდან და რეგიონებიდან მოგვმართეს შეკითხვით, ვინაიდან მათ უკავშირდებიან სხვადასხვა პირები, არ ვიცი ვინ და რა ორგანიზაციას წარმოადგენენ, რომლებიც ატყობინებენ, რომ თითქოსდა 15 ათას ლარად შესაძლებელია ლიცენზიის ყიდვა, რომელიც მათ უფლებას მისცემს თამბაქოს მოხმარება ჰქონდეთ საკუთარ დაწესებულებებში, რაც აბსოლუტურად მცდარია და არ შეესაბამება სიმართლეს. კანონი ცხადად ასახელებს, რომ არც ერთი საზოგადოებრივი თავშეყრის შენობა არ შეიძლება იყოს თამბაქოთი, ყველა მათგანი არის თამბაქოსგან თავისუფალი და ამას ვერ ვიყიდით ვერანაირი ლიცენზიით. ერთადერთი, სადაც ლიცენზიით უფლება შეიძლება მოიპოვო, არის სიგარა ბარი, სადაც შესაძლებელია მხოლოდ მოწევა და სასმელი, საკვები პროდუქტი იქ არ შეიძლება, შესაბამისად, სიგარა-ბარი ვერ შეასრულებს რესტორნის ფუნქციას, – განმარტავს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი, ლელა სტურუა.

მისი თქმით, არ არის გამორიცხული, აღნიშნული ფაქტებით შინაგან საქმეთა სამინისტრო დაინტერესდეს. როგორც ჩანს, საზოგადოებაში ინფორმაციის ნაკლებობაა, რადგან როგორც სტურუამ განგვიცხადა, რიგი სუბიექტები თამბაქოს მოხმარების ამკრძალავ ნიშნებს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სახელით ყიდიან, რაც რეალობაში სრულიად უფასოდ გაიცემა.

ბმ.გე

„ივნისში საქართველოში ბრიტანეთის პირველი სავაჭრო მისია ჩამოვა“

ივნისის დასაწყისში საქართველოში ბრიტანეთის პირველი სავაჭრო მისია ჩამოდის. დაგეგმილი ვიზიტის შესახებ დიდი ბრიტანეთის ელჩმა საქართველოში ჯასტინ მაკენზი სმიტმა „საქმიანი დილის“ ეთერში ისაუბრა.

– საქართველო–ბრიტანეთის ურთიერთობები სწრაფად ფართოვდება. ჩვენი აქტივობები იზრდება როგორც პოლიტიკურ, ისე უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიმართულებით. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა ბიზნესსფეროს. ივნისის დასაწყისში საქართველოში ჩამოდის ბრიტანეთის პირველი სავაჭრო მისია. მრავალი წლის განმავლობაში არაერთი ბრიტანული კომპანია ჩამოდის საქართველოში, ჩვენ ვხდებით პარტნიორები ბევრ სფეროში, განსაკუთრებით ეკონომიკური განვითარების ჭრილში, – განაცხადა ჯასტინ მაკენზი სმიტმა ალექსი პეტრიაშვილის რუბრიკაში „მსოფლიო, როგორც ასეთი“.

მისივე თქმით, ბრიტანეთი დარჩება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გულშემატკივარი.

– ის, რომ ბრიტანელმა ხალხმა გადაწყვიტა გამოვიდეს ევროკავშირიდან, ეს არ ცვლის ჩვენს მხარდაჭერას საქართველოს დემოკრატიული გადაწყვეტილების მიმართ, რომ შეუერთდეს ევროკავშირს ახლა თუ მომავალში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ურთიერთობები იცვლება ევროკავშირთან მიმართებით, ჩვენ კვლავ მხარს დავუჭერთ ქართველი ხალხის დემოკრატიულ არჩევანს შეუერთდნენ ევროკავშირს, – აცხადებს ელჩი.

დიდი ბრიტანეთის ელჩმა „საქმიანი დილის“ ეთერში ბრიტანეთის ფინანსური ბაზრის უარყოფითად გამოყენების ტენდენციებზე, რუსულ საფრთხეებსა და ორაზროვან ფონდებზე ისაუბრა.

– ეს პროცესი კვლავაც მიმდინარეობს. პარლამენტი და მთავრობა ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს ამ თემას. ეს არის დაკავშირებული ინვესტირების და დაფინანსების გამჭვირვალობასთან. ასევე აუცილებელია, რომ ჩვენ ღია საბაზრო ეკონომიკურ სისტემას გავუწიოთ ზედამხედველობა იმისათვის, რათა დავიცვათ ის გარეშე ძალების უარყოფითი გავლენისაგან, – აცხადებს ჯასტინ მაკენზი სმიტი.

ბმ.გე

შსს: „მოზარდების თვითმკვლელობის არც ერთ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე „ლურჯ ვეშაპთან“ არ გვქონია“

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე, შს სამინისტროს კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ტექნოლოგიების, კვლევის და დანერგვის განყოფილების უფროსს ივანე კაციტაძეს და კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელს მოუსმინეს.

კაციტაძემ საშიშ ინტერნეტთამაშზეც ისაუბრა და თქვა:

– ყველა შემთხვევა, რომელიც მოზარდების თვითმკვლელობას და თვითმკვლელობამდე მიყვანის მცდელობას ეხება, შესწავლილია და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არც ერთ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ინტერნეტ თამაშ „ლურჯ ვეშაპთან“ არ გვქონია. აღნიშნულ თამაშს არ გააჩნია არც ინტერნეტ-აპლიკაციის, არც ვებგვერდის სახე და წარმოადგენს მხოლოდ ფსიქოლოგიური დომინანტის დომინირებას სუსტ მსხვერპლზე.

შს სამინისტროში წარმოებული გამოძიების შესახებ კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელმა გიორგი ჯაფარიძემაც ისაუბრა.

მისი თქმით, გამოძიებით მოზარდების „ლურჯ ვეშაპთან“ კავშირი არ დასტურდება

– მითი და რეალობა ერთმანეთშია არეული, რადგან რუსეთის ფედერაცია საკმაოდ დიდი ქვეყანაა და მასშტაბები საკმაოდ დიდია. დღეის მდგომარეობით რუსეთში მხოლოდ ორი პიროვნებაა დაკავებული – ეს არის თამაშის შემქმნელი და ერთ-ერთი მენტორი. მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა. მათი ბრალეულობა ჯერჯერობით დადასტურებული არ არის და საქმეზე გამამტყუნებელი განჩენი დამდგარი არ არის, – აღნიშნა შს სამინისტროს წარმომადგენელმა.

დიდ დილომში ახალგაზრდა ქალი სახურავიდან გადმოხტა

დიდ დილომში ახალგაზრდა ქალი სახურავიდან გადმოხტა და ადგილზე გარდაიცვალა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ლევან კობერიძე: „თუ ნარკომომხმარებელი დათანხმდება მკურნალობას, ის ციხეში არ მოხვდება“

– თუ ნარკომომხმარებელი დათანხმდება მკურნალობას, ის ციხეში არ მოხვდება, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ლევან კობერიძემ, ჟურნალისტებს განუცხადა. როგორც კობერიძე ამბობს, კანონპროექტთან დაკავშირებით მსჯელობა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაგრძელდეს და საბოლოო შედეგამდე მივიდეს.

– ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით თქვენ იცით, რომ პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტი, რომელზეც მსჯელობა მიმდინარეობს, ერთი მხრივ, უწყებათაშორის საბჭოში, სადაც ძალიან კარგი ტემპით ხდება პოზიციების დაახლოების პროცესი. მეორე მხარე არის პარლამენტში მსჯელობის გაგრძელება და ვისურვებდი, რომ სწრაფად მოხდეს ამ მსჯელობის განახლება. ვფიქრობ, ერთი თვის ვადაში იქნება მსჯელობა და წინგადადგმული ნაბიჯები პარლამენტის ფორმატში.

რაც შეეხება ხედვას, კანონპროექტზე მსჯელობას, არსებობს განსხვავებული მოსაზრებები, მათ შორის ჩვენს გუნდშიც და ვცდილობთ, მაქსიმალურად იყოს დაახლოებული მოსაზრებები იმისთვის, რომ როდესაც პარლამენტში მსჯელობა განახლდება, კანონპროექტმა სწრაფად გაიაროს გზა საბოლოო ვერსიის მისაღებად, – აღნიშნა კობერიძემ.

მისივე თქმით, გამსაღებლებთან ბრძოლის კუთხით, კანონმდებლობის სიმკაცრეზე გუნდში შეთანხმება უკვე არსებობს, რაც შეეხება ნარკომომხმარებლებს, რა შემთხვევაში არ მოხვდებიან ისინი ციხეში, ამაზე გუნდში ისევ მსჯელობენ.

– გამსაღებლებთან ბრძოლა და კანონმდებლობა ამ მიმართულებით მკაცრი უნდა იყოს, ამაზე ყველანი ვთანხმდებით. მეორე ნაწილი, რაზეც მსჯელობა მიმდინარეობს, მომხმარებლებთან მიმართებაშია, ჩვენ ვამბობთ, რომ პრობლემურ ნარკომომხმარებლებზეა საუბარი, რომ აქ უნდა მოხდეს დეკრიმინალიზაცია და არ უნდა წავიდეს ციხეში, პრინციპზე აქაც ვთანხმდებით, მაგრამ აქ საუბარია იმაზე, განისაზღვროს ზუსტი კრიტერიუმები, რა შემთხვევაში და როგორ არ უნდა მოხვდეს მომხმარებელი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ეს არის ყველაზე მთავარი თემა, რაზეც მსჯელობა მიმდინარეობს. კანონპროექტის ინიციატორების მხრიდან არის გადმოდგმული შემხვედრი ნაბიჯები. დიდი იმედი გვაქვს, რომ ამ ყველაფერს ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები და კანონპროექტის მოწინააღმდეგეები გაიზიარებენ. საუბარია იმაზე, რომ მომხმარებელი არ უნდა მოხვდეს ციხეში, მაგრამ ფლობის შემთხვევაში, თუკი რამდენჯერმე აღმოაჩნდება ნარკოტიკი ერთი და იგივე პიროვნებას, ევროპის პრეცედენტია საინტერესო, რომ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება, მაგრამ საქმე ჩერდება, თუკი პირი თანამშრომლობს ძალოვან სტრუქტურებთან, იმ კომისიასთან, რომლის შექმნასაც ჩვენ ვამბობთ. თუკი პირი უარს ამბობს ნარკოტიკების შემდგომ მოხმარებაზე, თანხმდება ნებაყოფლობით მკურნალობაზე, ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე წყდება და ის უბრუნდება სოციალურ გარემოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ხვდება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ეს არის ის ნაბიჯი, რომელიც ჩვენ გადავდგით და ვფიქრობთ, რომ არის ის თემა, რომელზეც კონსენსუსის მიღწევა შესაძლებელია, – განაცხადა კობერიძემ.

ნინო გეგელაშვილი: „გიორგიმ ჩემს საქმიანობაზე არაფერი იცოდა“

ნინო გეგელაშვილს და გიორგი გოგებაშვილს ბრალი წაუყენეს

ინტერნეტის საშუალებით ნარკოტიკების გასაღების საქმეზე დაკავებულ ნინო გეგელაშვილსა და გიორგი გოგებაშვილს ბრალი ოფიციალურად წაუყენეს. მათ გამოძიება ჯგუფურად ნარკოტიკული საშუალებებისა და ახალი ფსიქოტროპული პრეპარატების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღებას ედავება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ბრალდებულების ადვოკატმა მარიკა ფხალაძემ განუცხადა, გეგელაშვილი ბრალს ნაწილობრივ აღიარებს, გოგებაშვილი კი არ აღიარებს.

კერძოდ, ადვოკატის თქმით, ნინო გეგელაშვილი აღიარებს, რომ ფსიქოტროპულ საშუალებებს ასაღებდა, თუმცა ნარკოტიკების შეძენა-შენახვასა და ჯგუფურად მოქმედებას არ აღიარებს.

– რაც შეეხება გოგებაშვილს, ის კატეგორიულად უარყოფს ამ ფაქტებთან კავშირს და ბრალს არ აღიარებს. თვითონ ნინო გეგელაშვილიც ამბობს, რომ გიორგიმ მის საქმიანობაზე არაფერი იცოდა. საქმის მასალები ახლა გადმომეცა. საკმაოდ მოცულობითია და საკმაოდ ბევრი ფარული ჩანაწერია. ბრალის დადგენილებიდან ჩანს, რომ საგამოძიებო ორგანო გეგელაშვილს მარტიდან უთვალთვალებდა და მათ მიერ ჩანერგილმა აგენტმა ორჯერ საკონტროლო შესყიდვაც განახორციელა, თუმცა მე მასალები არ მინახავს და არ ვიცი, ფიგურირებს თუ არა ამ მასალებში ორივე ბრალდებული, – განაცხადა მარიკა ფხალაძემ.

რაც შეეხება ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას, ადვოკატის თქმით, ნინო გეგელაშვილთან მიმართებაში დაცვის მხარე გირაოს შეფარდებას მოითხოვს, გიორგი გოგებაშვილთან დაკავშირებით კი – მისი აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას.

* * *

გიორგი გოგებაშვილის ძმამ, შსს-ს თანამშრომელმა იაკობ გოგებაშვილმა, მისი ძმის დაკავების შესახებ კომენტარი გააკეთა.

იაკობ გოგებაშვილის თქმით, დაკავებულის საქმიანობის შესახებ არაფერი იცოდა. ის ასევე უარყოფს ინფორმაციას, რომ კომუნიკაცია ჰქონდა იმ ბინის მფლობელებთან, რომელიც ნარკოტიკების ინტერნეტით გასაღების ბრალდებით დაკავებულ წყვილს კონსპირაციულად ჰქონდათ ნაქირავები.

– არავისთან კომუნიკაცია არ მქონია, ბინა მე არ მიქირავებია, არაფერი ვიცი, – ამბობს ყოფილი პოლიციელი, რომელსაც უფლებამოსილება დროებით საკუთარი განცხადების საფუძველზე ამჟამად უკვე შეჩერებული აქვს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 1991 წელს დაბადებული ქალი და 1994 წელს დაბადებული მამაკაცი, ინტერნეტის გამოყენებით ნარკოტიკული საშუალების გასაღების ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ის დანაშაულებრივი სქემა გამოავლინეს, რომლის მიხედვითაც, დაკავებულები ნარკოტიკული საშუალებების რეალიზებას ინტერნეტის გამოყენებით ახდენდნენ.

* * *

ბოლო დღეებში საქართველოში აღაპპარაკდნენ ახალი ნარკოტიკის შესახებ, რომელმაც, არსებული ინფორმაციით, უკვე რამდენიმე ადამიანის, მათ შორის, ახალგაზრდების სიცოცხლე იმსხვერპლა.

ეგრეთ წოდებული „მკვლელი მარილის“ (ეფედრინი) კავშირი ბოლო დღეებში დაღუპული ადამიანების სიკვდილთან დადასტურებული არ არის, თუმცა საზოგადოების ნაწილი ამ შესაძლებლობას აქტიურად განიხილავს.

ექიმების ნაწილის მტკიცებით, კლინიკის მიხედვით (დაღუპულ ადამიანთა უმრავლესობა ძილში გარდაიცვალა) ახალი „მკვლელი“ ნარკოტიკი ეფედრინი არ არის, არამედ ოპიატია, რომელსაც ძილში სიკვდილი ახასიათებს. ის, სავარაუდოდ, ინტერნეტით იყიდება.

ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე საბოლოო განაჩენი მოსამართლემ 1 ივნისამდე უნდა გამოიტანოს

თბილისში ხორავას ქუჩაზე, არასრულწლოვნების მკვლელობის საქმეზე მოსამართლემ საბოლოო განაჩენი პირველ ივნისამდე უნდა დაადგინოს.

ერთ-ერთი ბრალდებული მოზარდის ადვოკატი ტარიელ კაკაბაძე აცხადებს, რომ სასამართლო პროცესები ფინალურ ეტაპზეა. მისივე თქმით, გამოძიება არასწორად და ცალმხრივად წარიმართა. კაკაბაძე ამბობს, რომ ორი ბრალდებულის ნაცვლად, მინიმუმ ოთხი ბრალდებული უნდა იყოს.

– ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმ მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც უშუალოდ შეესწრნენ დაჭრის ფაქტს. ვინაიდან ამ ინფორმაციას უნდა დაეფუძნოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი. მე კატეგორიულად შემიძლია ვთქვა, რომ თვითმხილველი პირების ჩვენებებით არ დგინდება ის, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა ჩაიდინა დანაშაული, რომელსაც ბრალდების მხარე ედავება.

გამოძიება არის ცალმხრივად და არასწორად ნაწარმოები და მიმართულია იმისკენ, რომ კონკრეტული პირები არ იქნენ მიცემული პასუხისგებაში. სწორედ ამიტომ ჩვენ გვყავს მხოლოდ ორი ბრალდებული, – განაცხადა ტარიელ კაკაბაძემ.

დაკავებულ არასრულწლოვნებს ბრალის დამტკიცების შემთხვევაში 13-დან 17 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ. გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში მათი ადვოკატები გადაწყვეტილებას სააპელაციოში გაასაჩივრებენ.

2017 წლის 1 დეკემბერს თბილისის ცენტრში, ვერაზე ორი არასრულწლოვანი დავით სარალიძე და ლევან დადუნაშვილი დაჭრეს. ერთი მოზარდი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. მეორე – მრავლობითი დაზიანებებით საავადმყოფოში მოთავსებიდან მეორე დღეს, 2 დეკემბერს გარდაიცვალა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ხორავას ქუჩის ინციდენტის გამო 2001 წელს დაბადებული პირი განზრახ მკვლელობის ბრალდებით 2 დეკემბერს დააკავეს.

მანამდე, პროკურატურამ ამ დანაშაულისთვის ორი პირი პასუხისგებაში მისცა. 4 დეკემბერს კი, სასამართლომ მათ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

რუსეთში 9 მაისი აღნიშნეს

რუსეთის ქალაქებში 9 მაისი აღნიშნეს. მოსკოვში სამხედრო პარადი ჩატარდა. გამოიყვანეს მძიმე ტექნიკა, მათ შორის რამდენიმე ახალი ნიმუში. პარადში ავიაციაც მონაწილეობდა.

მწყობრი მარშით ჩაიარეს რუსეთის სამხედრო პოლიციის ნაწილებმა, რომლებიც სირიაში იბრძოდნენ.

რუსეთის ქალაქებში ე.წ. „უკვდავი პოლკის“ აქციები გაიმართა.

რუსეთის მოქალაქეთა 84% 9 მაისს უდიდეს დღესასწაულად მიიჩნევს; 78% თვლის, რომ ომში გამარჯვება სტალინის სახელთანაა დაკავშირებული; 80%-ის აზრით, სსრკ იმიტომ დაინგრა, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობამ 1956 წელს სტალინის კულტი დაგმო და მართვის სტალინურ მეთოდებს გადაუხვია.

კურტ ვოლკერი: „რუსეთი უკრაინას ყირიმს აუცილებლად დაუბრუნებს!“

აშშ-ის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელმა დონბასის კონფლიქტის დარეგულირების საკითხში კურტ ვოლკერმა მორიგი განცხადება გააკეთა.

მან თქვა, რომ ყირიმთან დაკავშირებით რუსეთის რიტორიკა არ შეიცვლება, მაგრამ პოზიციას არც დასავლეთი შეიცვლის.

– რუსეთზე ზეწოლა გაძლიერდება, – თქვა ვოლკერმა.

აშშ-ის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ არ ცნობს ყირიმის შესვლას რუსეთის შემადგენლობაში, როგორც თავის დროზე არ აღიარა ლატვიის, ლიტვის და ესტონეთის მოსკოვის მიერ ანექსია. რუსეთსაც, ადრე თუ გვიან, უკან დახევა მოუწევს.

– ყირიმი უკრაინას აუცილებლად დაუბრუნდება! რუსეთს სხვა გამოსავალი არ ექნება გარდა იმისა, რომ ნახევარკუნძულზე უარი თქვას! – განაცხადა ვოლკერმა.

ისრაელმა სირიას რაკეტები დაუშინა

სირიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ისრაელმა ალ-კისვაში განთავსებულ ირანის სამხედრო ბაზას რაკეტები დაუშინა.

დაღუპულია ისლამის გუშაგთა კორპუსის რვა მებრძოლი.

– ისრაელის ამ ქმედებას პასუხი მოჰყვება, – იმუქრება სირიის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ისრაელმა პასუხად თავისი შეიარაღებული ძალები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა. ისრაელის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა მტრის რაკეტების ჩამოსაგდებად მზადაა.

ვინ არის ნიკოლ პაშინიანი

ციხიდან პრემიერის სავარძლისკენ

სომხეთის ახალი პრემიერი ნიკოლ პაშინიანი ფრიად კოლორიტული ბიოგრაფიის პატრონია.

ის 1975 წელს იჯევანში დაიბადა. სწავლობდა ერევნის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, საიდანაც პოლიტიკური შეხედულებების გამო გარიცხეს. ეს მის ცხოვრებაში პირველი სერიოზული სკანდალი იყო. მალე ამას მეორე მოჰყვა. პაშინიანმა, რომელიც ერთ-ერთი ოპოზიციური გაზეთის რედაქტორი იყო, დეპუტატის ცოლზე სკანდალური მასალა გამოაქვეყნა. საქმე სასამართლომდე მივიდა. გაზეთი დახურეს, თავად პაშინიანს კი ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. როგორც სომხეთის საზოგადოებამ, ასევე დასავლეთმაც პაშინიანი ამ სკანდალით გაიცნო.

მომავალი პრემიერი კიდევ არაერთ სკანდალში გაეხვია. აქედან ყველაზე სერიოზული 2008 წლის ალიაქოთი გახლდათ. სომხეთის მომავალი პრემიერი იმხანად ლევონ ტერ-პეტროსიანის საარჩევნო შტაბის წევრი იყო. სომხეთში მასობრივი არეულობები დაიწყო 1-2 მარტს, რაც ხელისუფლებამ ჩაახშო. პაშინიანს ამ არეულობების ორგანიზებაში დასდეს ბრალი. ისიც იძულებული გახდა, მიმალულიყო.

2009 წელს პაშინიანი ხელისუფლებას ჩაბარდა და 2010 წელს სასამართლოს წინაშე წარდგა. მას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ამან საერთაშორისო საზოგადოება აღაშფოთა. დასავლეთი ჟურნალისტის დევნისთვის სომხეთის ხელისუფლებას სანქციებით დაემუქრა. შედეგად სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, პაშინიანს სასჯელის ვადა შეუმცირეს, 2011 წელს კი ამნისტიით გაათავისუფლეს.

2012 წელს პაშინიანი სომხეთის პარლამენტის დეპუტატად აირჩიეს. ამის შემდეგ ის ჩამოყალიბდა, როგორც სომხური დემოკრატიული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი. ხალხში მისი პოპულარობა იზრდებოდა.

2017 წელს პაშინიანი კვლავ დეპუტატი ხდება. ის ძალზე ხისტად უპირისპირდება მმართველ ძალას, ე.წ. „ყარაბაღელთა დაჯგუფებას“, რომელსაც ბრალს სდებს კორუფციაში, თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში და ა.შ.

პაშინიანი სომხეთის ევრაზიულ კავშირში შესვლის წინააღმდეგი იყო. ის გამოიკვეთა, როგორც ლიბერალი და დემოკრატი, რომელიც მმართველ ძალასთან სასტიკადაა დაპირისპირებული. ერთადერთი საკითხი, რაშიც პაშინიანისა და მმართველი ძალის შეხედულებები ერთმანეთს ემთხვევა, ეს მთიანი ყარაბაღის პრობლემაა. პაშინიანი მხარს უჭერს მთიანი ყარაბაღის „დამოუკიდებლობის“ აღიარებას, იმას, რომ ამ „რესპუბლიკის“ დელეგაცია საერთაშორისო მოლაპარაკებებზე დაუშვან და ა.შ.

დასავლეთში პაშინიანი ცნობილია, როგორც კარგი ოპოზიციონერი, დემოკრატი და ლიბერალი. ლიდერად ის სამიტინგო ტალღაზე აღზევდა.

მალე გამოჩნდება, რამდენად შეძლებს ის იმის შესრულებას, რაც ხალხს მიტინგებზე აღუთქვა. დღეს ცხადია მხოლოდ ერთი: ვინც უნდა იყოს სომხეთის ხელისუფლებაში, ქვეყანა კვლავაც ევრაზიულ კავშირში დარჩება.

სომხური მოვლენების უმთავრესი მონაპოვარია ის, რომ ხალხი უკანონობის, კორუფციის, განუკითხაობის წინააღმდეგ ამხედრდა, ქუჩაში გამოვიდა და თავისი გაიტანა. პრობლემები, რომლებიც სომხეთს აწუხებს, პოსტსაბჭოთა სივრცის ყველა ქვეყნისთვისაა აქტუალური.

აშშ ირანთან დადებული ბირთვული შეთანხმებიდან გადის

დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ ირანთან დადებული ბირთვული შეთანხმებიდან გადის, ირანის მიმართ სანქციები კი დაუყოვნებლივ განახლდება.

ტრამპმა ხაზი გაუსვა, რომ სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, თავის მოკავშირეებთან კონსულტაცია გაიარა. ეს თანაბრად შეეხება როგორც ევროპის, ისე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს. ტრამპმა სოლიდარობა გამოუცხადა ირანელ ხალხს, რომელიც თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის იბრძვის.

ტრამპის გამოსვლამ მსოფლიოში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.

ევროკომისარმა ფედერიკა მოგერინიმ განაცხადა, რომ ევროკავშირი ირანთან დადებული ბირთვული შეთანხმების ერთგული დარჩება. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ამერიკელთა გადაწყვეტილებით იმედგაცრუებულია.

გაცილებით აგრესიული იყო ირანის პრეზიდენტ როუჰანის პოზიცია.

– მისტერ ტრამპმა ისტორიული შეცდომა დაუშვა, – ამბობს როუჰანი.

ირანის ლიდერმა აღნიშნა, რომ ბირთვული შეთანხმება თეირანთან მხოლოდ აშშ-მ როდი დადო. მას ხელი ექვსი დიდი სახელმწიფოს ლიდერებმა მოაწერეს.

– ჩვენ ამ შეთანხმების ერთგულნი დავრჩებით, – თქვა როუჰანიმ.

ისრაელის პრემიერი ნეტანიაჰუ ტრამპის პოზიციას მიესალმა.

– აშშ-ის პრეზიდენტმა ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო, – თქვა ნეთანიაჰუმ.

უკრაინის სამმა პრეზიდენტმა ერთიანი ავტოკეფალური ეკლესიის შექმნას მხარი დაუჭირა

უკრაინის ყოფილმა პრეზიდენტებმა კრავჩუკმა, კუჩმამ და იუშჩენკომ ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელიც მსოფლიო პატრიარქისადმი მიმართვას წარმოადგენს. მასში ნათქვამია, რომ პატრიარქმა უკრაინის ერთიანი ავტოკეფალური ეკლესია უნდა აღიაროს.

– ეს ჩვენი ხალხი სურვილია, – თქვა ლეონიდ კუჩმამ.

უკრაინის პირველმა პრეზიდენტმა კრავჩუკმა აღნიშნა, რომ 1991 წელს უკრაინამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ პერიოდიდან უკრაინის ხელისუფლება, ხალხი და უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ფილარეტი ავტოკეფალური ეკლესიის აღიარებისათვის იბრძოდნენ.

– დროა, ეს ბრძოლა დასრულდეს და ჩვენი ეკლესია აღიარონ, მით უმეტეს, რომ ის უკვე შეიქმნა და უკრაინის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სიყვარულითა და მოწიწებით სარგებლობს, – თქვა კრავჩუკმა.

ვიქტორ იუშჩენკოს აზრით, უკრაინა იმ ეტაპს გადის, რომელიც საქართველომ მე-9-11 საუკუნეებში გაიარა.

– ბიზანტია ქართულ ეკლესიას არ ამტკიცებდა, მაგრამ ქართველებმა თავისი მაინც გაიტანეს. სადაა ახლა ბიზანტია? ის გაქრა, საქართველო კი არსებობს. მივმართავ რუსეთს, რომ ეს გაითვალისწინოს, – განაცხადა იუშჩენკომ.

რუსმა კომუნისტებმა მედვედევს მხარი არ დაუჭირეს

როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფო დუმამ ძველი პრემიერი დიმიტრი მედვედევი პრემიერის პოსტზე კვლავ დაამტკიცა. მას 374-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 56-მა წინააღმდეგ მისცა ხმა.

მედვედევის წინააღმდეგ მისცეს ხმა კომუნისტებმა, აგრეთვე „სპრავედლივაია როსიამ“.

პრეზიდენტმა პუტინმა რუსი კომუნისტები მედვედევის წინააღმდეგ გამოსვლისთვის გააკრიტიკა. მან კომუნისტებს არასაკმარის კომპეტენტურობაში დასდო ბრალი.

– კომუნისტური პარტია რუსეთს სამოცდაათი წლის განმავლობაში მართავდა. შედეგად დიდი სახელმწიფო, სსრ კავშირი, დაიშალა. ასე რომ, ბატონებო, უბრალოდ მორალური უფლება არ გაქვთ, გაგვაკრიტიკოთ, – თქვა პუტინმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ნახატ სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება, “პახმელიის“,ზაპოის“, აგრესიის და ყველანაირი გართულების მოხსნა. (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში პაციენტისგან ფარულად) კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მკურნალობაა, მცენერეული, მაღალეფექტური, გარანტირებულად უსაფრთხო პრეპარატებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, ნნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამადანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

სუპერლიგის ისტორიაში პირველად მოხდა სენსაცია

მგზავრები-კაკტუსი 87:75
(17:21, 28:19, 20:19, 22:16)

სუპერლიგის მეორე ნახევარფინალისტი ცნობილია. ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა მგზავრებმა მიმდინარე ჩემპიონატის ყველაზე დიდი მოულოდნელობა დააფიქსირა. რეგულარულ ჩემპიონატში მე-7 ადგილზე გასულმა გუნდმა პლეი ოფის პირველი წრიდან მეორეადგილოსანი კაკტუსი გამოაგდო. აქამდე სუპერლიგაში არასდროს მომხდარა, რომ მეოთხედფინალური სერია მოედნის უპირატესობის არმქონე გუნდს მოეგოს.

მგზავრებმა სერიის პირველი

მატჩი კაკტუსს 85:69 მოუგო. სერიაში ჩამორჩენილ კაკტუსს, რომელსაც რეგულარულ ჩემპიონატში მხოლოდ ქუთაისმა აჯობა, საპასუხო მატჩში საერთო ანგარიშის გათანაბრების ამბიცია ჰქონდა, თუმცა მგზავრების მწვრთნელმა, ბუბა ბერიშვილმა მატჩისშემდგომ კომენტარში თქვა, რომ სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე, რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 3 ტურით ადრე იცოდნენ, რომ კაკტუსს შეხვდებოდნენ და მასთან სათამაშოდ ემზადებოდნენ. როგორც აღმოჩნდა, მგზავრების კალათბურთელები მართლაც მომზადებულნი იყვნენ, რადგან წინა მატჩის მსგავსად, ამჯერადაც მეტოქეს გასაქანი არ მისცეს.

მგზავრები კვლავ ლიდერის როლში იყვნენ, თუმცა კაკტუსი წინა მატჩის მსგავსად მეტოქეს წინ არ უშვებდა და შანსს ინარჩუნებდა. გადამწყვეტი პერიოდის წინ მგზავრები 6 ქულით იგებდნენ, რაც ბევრს არაფერს ნიშნავდა და კაკტუსს შანსს აძლევდა, მაგრამ შეხვედრის დასრულებამდე 2 წუთით ადრე მატჩის ბედი გაირკვა. ზუსტად მაშინ, როცა მაყურებელი ყველაზე მძაფრ ბრძოლას ელოდა, მგზავრების მოთამაშეებმა გუნდური სულისკვეთებით, სწრაფი გარღვევებით, ზუსტი შორი სროლებითა და გაუვალი დაცვით 10-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს. ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა კაკტუსისთვის არარეალური გახდა, რადგან მატჩის დასრულებამდე 2 წუთზე ნაკლები რჩებოდა.

საბოლოოდ ბუბა ბერიშვილის გუნდმა 12 ქულით – 87:75 გაიმარჯვა და ნახევარფინალშიც გავიდა. გამარჯვებულებს 20 ქულით ტეილორ სტეფორდმა ულიდერა. 15 ქულა მიითვალა კახა ჯინჭარაძემ, ხოლო ადრიან ბოუის ანგარიშზე 14 ქულა და 13 პასი დაგროვდა. კაკტუსში 15 ქულით საუკეთესო იყო ანატოლი ბოისა. 14 ქულა მოაგროვა დავით ლომიძემ.

კაკტუსისთვის სეზონი დასრულდა, მგზავრები კი ნახევარფინალში თბილისის დინამოს შეხვდებიან. ამჯერად სერია 3 მოგებამდე გაგრძელდება.

ბათუმი-რუსთავი 84:66
(18:17, 18:13, 29:27, 19:9)

სუპერლიგის ფლეი-ოფის განმეორებით შეხვედრაში, ბათუმმა შინაურ არენაზე რუსთავი მიიღო. მოგეხსენებათ, ქიმიკოსთა დარბაზში ქვემოქართლელებმა მეტოქე (82:62) დაამარცხეს. ამჯერად, ბათუმმა (84:66) იმარჯვა და სერიაში ანგარიში გაათანაბრა.

შეხვედრა სტუმართა ლიდერობით დაიწყო, მაგრამ მათი უპირატესობა 7 წუთნახევარი გაგრძელდა, შემდეგ კი მასპინძლები გავიდნენ წინ და მეოთხედიც მათ მოიგეს – 18:17. შეხვედრა მსგავსი სცენარით გაგრძელდა. კვლავ მინიმალური უპირატესობა ფიქსირდებოდა და მატჩი თანაბრად მიმდინარეობდა, მაგრამ ტაიმის ბოლოს სტეფანიშინისა და თენეიშვილის სამქულიანებით, ბათუმი 36:30 დაწინაურდა.

მესამე მეოთხედის სტარტზე მასპინძლები 13 ქულით გალიდერდნენ, რასაც უმალვე სტუმართა თაკვაცის, რამაზ გოგობერიშვილის ტაიმ-აუტი მოჰყვა, თუმცა, უშედეგოდ. მასპინძელი გუნდი ლიდერობას არ თმობდა. საბოლოოდ, გადამწყვეტი ათწუთეულის წინ სხვაობა 8 ქულა იყო (65:57) და მატჩს ინტრიგაც შეუნარჩუნდა. თუმცა, რუსთავმა ეს მეოთხედი სათანადოდ ვერ ჩაატარა, ბათუმმა კი ნახევარფინალში გასვლის შანსი დაიტოვა.

ბათუმელთა მხრიდან საოცარი სტატისტიკა ჰქონდა სტეფან ანდრეევიჩს – 21 ქულა, 16 მოხსნა. 18 ქულა ერიკ ჩილდრესის ანგარიშზეა. 14 ქულა კი სპენსერ კოლინსმა ჩააგდო. სტუმრებს 19 ქულით ადამ ბლეიზეკმა ულიდერა. ორმაგი დუბლი ტაირელ ნელსონმა მიითვალა – 15 ქულა, 11 მოხსნა.

მორიგ, გადამწყვეტ შეხვედრას რუსთავი უმასპინძლებს.

ულრაიხი მზად არის, გერმანიის თასის ფინალში სკამზე გადაჯდეს

მიუნხენის ბაიერნის მეკარემ, სვენ ულრაიხმა აღნიშნა, რომ მზად არის, გერმანიის თასის ფინალში კარი მანუელ ნოიერს დაუთმოს.

სვენ ულრაიხი:

– კარგი სეზონი ჩავატარე და გუნდს გერმანიის თასის ფინალში მოსვლამდე დავეხმარე, მაგრამ თუ მანუ მზად იქნება და მწვრთნელი მეტყვის, რომ ფინალში ის ითამაშებს, მას გავუგებ. ნოიერისთვის მატჩების ჩატარება აუცილებელია – ეს ეროვნული ნაკრებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია.

31 წლის გერმანელი, რომელსაც 6 თვეზე მეტი გაუცდა, ინტენსიურად ვარჯიშობს და მოედანზე დაბრუნებისთვის ემზადება. შესაძლოა, მანუ უკვე ამ უქმეებზე, შტუტგარტთან ბუნდესლიგის ბოლო ტურში ვიხილოთ, მაგრამ ამის შანსები შედარებით ნაკლებია.

არადა, ბაიერნის გულშემატკივრებმა გასული თვის საუკეთესო მოთამაშე გამოავლინეს და ამ სეზონში უკვე მესამედ, ეს წოდება სწორედ ულრაიხმა მოიპოვა.

გერმანელმა მეკარემ, რომელიც ამ სეზონში მანუელ ნოიერს ფანტასტიკურად ცვლის, აპრილში საკმაოდ ბევრი – 8 მატჩი ჩაატარა, რომელთა შორის გამორჩეული გერმანიის თასის ნახევარფინალური შეხვედრა იყო ლევერკუზენის ბაიერთან.

ლევერკუზენში სვენმა რამდენიმე ბრწყინვალე სეივი განახორციელა და საერთო ჯამში ნაჩვენები კარგი თამაშის გამო ფანების აღიარება კიდევ ერთხელ მოიპოვა.

გერმანიის თასის ფინალი კი 19 მაისს გაიმართება და იუპ ჰაინკესი თავის ბოლო შეხვედრას ფრანკფურტის აინტრახტის წინააღმდეგ ჩაატარებს.

სოლომონ კვერკველია: „ქართველებს ლოკომოტივში ჩვენი საიდუმლო გვაქვს“

სოლომონ კვერკველია გასულ ზამთარში იჯარით მოსკოვის ლოკომოტივმა აიყვანა, სადაც ტრავმირებული ვედრან ჩორლუკა შეცვალა და რუსეთის თასი მოიგო. ზაფხულში კი ლოკომ 2.5 მილიონ ევროდ გამოისყიდა.

ცენტრალურმა მცველმა ჩაატარა 39 მატჩი, გაიტანა 3 გოლი და იური სიომინის გუნდის მესამე ტიტულში თავისი დიდი წვლილი დაიდო.

რუსულ მედიასთან ინტერვიუში კვერკველიამ ისაუბრა, როგორ აღნიშნეს ჩემპიონობა, გაიხსენა მატჩი ლივერპულთან და აღნიშნა, რატომ უნდა ეშინოდეთ მცველებს მოჰამედ სალაჰის.

– ჩემპიონობის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა, რას გრძნობთ ახლა?

– წარმოუდგენელი გრძნობები, რომელსაც ვერ გადმოგცემთ. ჩვენ ამ დღეს დიდი ხნის განმავლობაში ველოდით! ვერ წარმოიდგენთ, რა საშინლად გაიწელა ზენიტთან შეხვედრის ბოლო 2 წუთი. ასე მეგონა, თითქოს დამატებით ახალი მატჩი ჩავატარე. როდესაც საფინალო სასტვენი გავიგე, მზად ვიყავი, პირდაპირ მოედანზე მოვმკვდარიყავი. ძალები თითქოს აღარ მქონდა, ვერაფერს ვერ ვგრძნობდი. ეს იყო ყველაზე დიდი კაიფი, რაც აქამდე განმიცდია.

– ვის მიულოცეთ პირველს?

– არავის გაუაზრებია, რას ამბობდა. ვეხვეოდით, ვკოცნიდით ერთმანეთს. ჭკუაზე არ ვიყავით. ძალიან გავიხარეთ, რომ ბოლოს და ბოლოს ეს შევძელით. გულშემატკივარი 14 წელი ელოდა ჩემპიონობას.

– ტელეფონამდე რომ მიაღწიეთ, რამდენი შეტყობინება დაგხვდათ?

– 300 და უამრავი გამოტოვებული ზარი. ჯერ კიდევ ყველასთვის არ მიპასუხია. გასახდელიდან ყველა, ფეხბურთელები, სამწვრთნელო შტაბი, ხელმძღვანელობა რესტორანში წავედით. რამდენიმე საათი დავყავით, მივულოცეთ ერთმანეთს. ყველა ბედნიერი იყო.

– რომელი თასი უფრო მძიმეა – საჩემპიონო თუ რუსეთის თასი?

– რომ შეხედავ, იფიქრებ, რამხელაა, ალბათ მძიმე იქნება, მაგრამ როდესაც აწევ, ძალიან მჩატეა, ვერც გრძნობ სიმძიმეს.

– ამბობენ, რომ თასიდან დალეული შამპანური უგემურია...

– უგემური? ვინ თქვა ეს? გასახდელში დამისხეს, ბოლომდე დავლიე უგემური... ეს იყო ყველაზე გემრიელი შამპანური, რაც ცხოვრებაში დამილევია... საუკეთესო სასმისი, საიდანაც დამილევია, ეს საჩემპიონო თასია – აი, ასე!

– გლუშაკოვმა, როდესაც სპარტაკში თამაშობდა, ჩემპიონობა სამაგონით აღნიშნა. თქვენ რა გქონდათ ყველაზე მაგარი სასმელი მაგიდაზე?

– ჭაჭა. საერთოდ, მაგიდაზე ყველაფერი გვქონდა.

– ლოკომოტივმა 87-ე წუთზე გაიტანა. მანამდე გაგიჩნდათ ფიქრი, რომ საჩემპიონო მატჩი ტულაში გადაინაცვლებდა?

– გვქონდა ასეთი ფიქრები. ზენიტი კარგი გუნდია. თამაშიც ისე მიდიოდა, რომ ბოლო 15 წუთში ვერავინ რისკავდა. ჩვენ 2 ქულა გვჭირდებოდა. ერთს ვაგროვებდით ზენიტთან. წინ გაქცევა და კონტრშეტევაზე „წამოგებას“ არ ვგეგმავდით. ყველა ვფიქრობდით – იყოს ფრე, ეს ნორმალურია. ამ დროს იგნატიევმა კარგად ჩააწოდა და ედერმა შეაგდო. ყველაფერი დიდებულად დამთავრდა.

– ედერის გოლით პორტუგალია ევროპის ჩემპიონი გახდა, ახლა ლოკო – რუსეთის. აუხსნა გუნდელებს, როგორ აკეთებს ამას?

– ასე მგონია, დღემდე შოკშია. მერე ვკითხავ. აქამდე მაგის დრო არ მქონია. ჩვენც ყველა შოკში ვიყავით.

– პრესაში დაიწერა, კრასნოდარიდან მოსკოვში რომ ბრუნდებოდით, მატჩის ვიდეოჩანაწერს უყურეთ და შეცდომები გაიაზრეთ. ეს მართალია?

– ჩვენ ყველა ცუდად ჩატარებულ მატჩს ვაანალიზებთ. თუმცა, კარგია, რომ ასე მოხდა. ვგულისხმობ იმას, რომ ჩემპიონები ჩერქიზოვოში გავხდით. ცხადია, ეს არავის დაუგეგმავს, მაგრამ იდეალურად გამოვიდა. საშინაო მატჩი ზენიტთან და ჩემპიონობა საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ.

– ილია გერკუსმა თქვა, რომ თავიდან ჩემპიონობის მხოლოდ დენისოვსა და ფარფანს სჯეროდა.

– როდესაც რუსეთის თასი მოვიპოვეთ, მაშინ ინტერვიუში ვთქვი, რომ რუსეთის ჩემპიონობა მინდა. შეგიძლიათ გადაამოწმოთ. ვთქვი და ავასრულე. ახლა ვამბობ – სუპერთასი მინდა.

– ზენიტთან დავალება განსაკუთრებული იყო?

– პალიჩმა გვითხრა: ბიჭებო, დღეს სტადიონი სავსე იქნება. ისინი 14 წელი ელოდებიან ტიტულს. დიდი შოუ იქნება. ეს ჩვენი შანსია. გადით მოედანზე და ყველაფერი გააკეთეთ მოსაგებად. გავედით და მოვიგეთ.

– იგორ დენისოვმა განაცხადა, რომ ის იური სიომინის მადლიერია... მადლობას მას თქვენც უხდით?

– თუ არ იქნებოდა პალიჩი, მე სადღაც პირველ ლიგაში ვითამაშებდი. მახსოვს, პირველად ლოკომოტივში რომ გადავდიოდი, ექსპერტები ამბობდნენ: რაში სჭირდება სიომინს კვერკველია, რომელიც რუბინის განაცხადში ვერ ხვდება? არ მინდა გვარები დავასახელო, მაგრამ ასე ბევრი საუბრობდა. ესენი იყვნენ ფეხბურთის სფეროში ცნობილი ადამიანები. პალიჩმა ჩემი დაიჯერა და მის გამო ყველაფერს ვაკეთებ. ბედნიერი ვარ მასთან მუშაობით. ესაა ადამიანი, რომელმაც ფეხბურთში მეორე სიცოცხლე მაჩუქა. 70 წლის ადამიანი ჩვენთან ერთად ყოველ საწვრთნელ დღესაა. სიომინი ისეთ სიამოვნებას იღებს ფეხბურთისგან, რომ შოკში ვვარდები. დაე, მან გაწვრთნას ლოკომოტივი, სანამ მას ეს სურს. ის ლეგენდაა...

– თქვენს პირველ ვარჯიშზე სიომინმა განაცხადა, რომ როდესაც გუნდში ქართველი მიდის, ლოკომოტივი აუცილებლად რამე ტიტულს იგებს...

– არც მოუტყუებია. ქართველებს ლოკომოტივში ჩვენი საიდუმლო გვაქვს, მაგრამ არ ვამხელთ.

– ფერნანდესმა სეზონი გატეხილი ნეკნით დაასრულა. თქვენ გქონდათ შემთხვევა, რომ მოედანზე ტრავმირებული გასულიყავით?

– ძალიან ბევრმა ფეხბურთელმა ითამაშა ასე. დიმა ტარასოვი ნემსებით გადიოდა მოედანზე. მეც რამდენჯერმე მომიწია ასე. ეს ნორმალურია, რადგან ვგრძნობდით, რომ ასეთი შანსი ხელიდან არ უნდა გაგვეშვა. თუ ახლა არ გავაკეთებდით, არავინ იცის, კიდევ როდის გვექნებოდა შესაძლებლობა. ამიტომ შედეგის მისაღწევად ტრავმირებულიც გავსულვართ მოედანზე.

– კვირას სეზონი მთავრდება, ერთ თვეში კი, მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება. დაესწრებით?

– ტულაში თამაშის შემდეგ საქართველოში გავემგზავრები. ცოტას დავისვენებ, სუფრებიც იქნება გაშლილი, 26 მაისს კი საქართველოს ნაკრებში ვიქნები, რადგან ამხანაგური მატჩები გვაქვს დაგეგმილი. მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩამოსვლის რა გითხრათ. შესაძლოა, მეგობრებს ვთხოვო რამდენიმე ბილეთი. ტარასოვი და მირანჩუკი რუსეთის ნაკრებში არიან გამოძახებულნი, მათ მატჩებს დავსწრებოდი.

– რუსეთის ნაკრებში არ არის გამოძახებული დენისოვი.

– არ ვიცი რა ვთქვა, მხოლოდ ის, რომ მის პოზიციაზე საუკეთესოა და ეს ყველამ იცის. თუმცა, რატომ არ იძახებენ, ან რა იქნება მომავალში, ეს ჩემი საქმე არ არის. მე ჩემი ნაკრები გამაჩნია და ასეთ საქმეებს არ ვსჯი. ერთია, დენისოვი ტოპ-ფეხბურთელია – ასე დაწერეთ.

– შემოდგომაზე ლოკო ჩემპიონთა ლიგაში იქნება. ვინ გინდათ ჯგუფში?

– ამაზე ჯერ არ მიფიქრია. ალბათ ისეთი გუნდები, ვისთანაც მეტი შანსი გვექნება.

– თუ ლივერპული მოხვდა, იცით, რა უნდა გააკეთოთ სალაჰთან?

– ჯერ მოხვდნენ და მერე ვიფიქრებ.

– თუმცა, რუსეთის ნაკრებმა უნდა იფიქროს, ეგვიპტე მის ჯგუფშია.

– მომისმინე, ლივერპულში მას ისეთი ფეხბურთელები ჰყავს ირგვლივ, რომ მისთვის ყველაფერს აკეთებენ. ნაკრებში ასეთები არ ჰყავს. რამდენი ძლიერი ფეხბურთელია ეგვიპტის ნაკრებში? 2-3 ხომ? რუსეთი და ურუგვაი ჯგუფიდან გავლენ, ამაში ეჭვი არ მეპარება.

– თქვენ ლივერპულთან ენფილდზე ფრე ითამაშეთ, ოღონდ სალაჰის გარეშე. დაახლოებით იგივე შემადგენლობა, ახლა ლიგის ფინალშია.

– სალაჰის გარეშე, მაგრამ კოუტინიოსთან. მაშინ მაგარი გუნდი ჰყავდათ. ერთი კარგი მატჩი კი ყველა გუნდმა შეიძლება ჩაატაროს. გაგვიმართლა მაშინ. ლივერპულს ბევრი მომენტი ჰქონდა, მაგრამ ჩვენ გავიტანეთ, შემდეგ კი დაცვაში ჩავჯექით და 1:1 მორჩა, რაც რუბინისთვის ტოპშედეგია. თუმცა, არასდროს დამავიწყდება ენფილდის ატმოსფერო, როგორ მღეროდნენ მატჩის წინ. ეს იყო ზღაპარი.

– სალაჰსა და კოუტინიოზე თქვენი აზრი გასაგებია. ვინ არის საუკეთესო ცენტრალური მცველი?

– რუსეთში ჯიქია, მსოფლიოში კი – სერხიო რამოსი. რატომ? შეხედეთ, როგორია მოედანზე. რამდენჯერ დაეხმარა რეალს ჩემპიონთა ლიგის ფინალში. ის ნამდვილი ლიდერია.

– თავად არ გინდათ ევროპაში წასვლა? ზამთარში იწერებოდა, რომ თქვენდამი ინტერესს ვესტ ბრომვიჩი და ლესტერი გამოხატავდნენ...

– ჩემამდე არავინ მოსულა. როდესაც მოვლენ და მეტყვიან, რომ ინტერესი აქვთ, მაშინ დავილაპარაკოთ. ჭორები ერთია და საქმე – მეორე. ახლა არაფერზეა სასაუბრო.

შედეგები

8 მაისი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

სუონსი-საუთჰემპტონი 0:1

საუტჰენჰო ცხრილი:

1.სიტი	36	30	4	2	102-26	94
2.მანჩესტერი	36	24	5	7	67-28	77
3.ლივერპული	37	20	12	5	80-38	72
4.ტოტენჰემი	36	21	8	7	68-32	71
5.ჩელსი	36	21	6	9	61-34	69
6.არსენალი	36	18	6	12	72-48	60
7.ბარნლი	37	14	12	11	35-37	54
8.ევერტონი	37	13	10	14	43-55	49
9.ლესტერი	36	11	11	14	49-54	44
10.ნიუკასლი	36	11	8	17	36-46	41
11.კრ.პალასი	37	10	11	16	43-55	41
12.ბორნმუთი	37	10	11	16	43-60	41
13.უოტფორდი	37	11	8	18	44-63	41
14.ბრაიტონი	36	9	13	14	33-47	40
15.ვესტ ჰემი	36	9	11	16	45-67	38
16.საუთჰემპტონი	37	7	15	15	37-55	36
17.ჰადერსფილდი	36	9	9	18	27-56	36
18.სუონსი	37	8	9	20	27-54	33
19.ვესტ ბრომვიჩი	37	6	13	18	31-54	31
20.სტოკი	37	6	12	19	33-67	30

საფრანგეთი. ლიგის თასი

ფინალი

ლე აბრიე-პსჟ 0:2

შოტლანდია. პრემიერლიგა

აბერდინი-რეინჯერსი 1:1

ბელგია. ა დივიზიონი

ლეუვენი-კორტრაიკი 0:2

ვარეგემი-ბევერენი 8:0

მუსკრონი-ლიერსი 1:0

ჰოლანდია. ექსტრაჯლასა

ნეჩეცა-სანდეცია 1:1

პიასტი-ლეხია 0:2

არკა-კრაკოვია 2:0

შლასკი-ჰოგონი 2:0

მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა

გოლდენ სტეიტი ზაზას გარეშე იგებს

გოლდენ სტეიტი და ზაზა ფაჩულია ნბა-ს მორიგი ჩემპიონობისკენ მიიწევენ. სტივ კერის გუნდმა ნიუ ორლეანი მეხუთე მატჩში 113:104 დაამარცხა და დასავლეთ კონფერენციის ფინალში გავიდა, სადაც სეზონის კიდევ ერთ ფავორიტს, რეგულარული სეზონის საუკეთესო გუნდს, ჰიუსტონ როკეტსს შეხვდება, რომელმაც თავის მხრივ, ასეთივე ანგარიშით, 4:1 იუტა ჯაზი დაამარცხა.

ცუდი ის არის, რომ გოლდენ სტეიტი საჩემპიონო გზაზე არ საჭიროებს ზაზა ფაჩულიას, რომელიც კვლავ სათადარიგო იყო. ზაზა მიმდინარე პლეი ოფის 10 მატჩში მხოლოდ ერთხელ და ისიც 3 წუთით გავიდა მოედანზე.

პელიკანსთან შეხვედრაში პირველი ტაიმი გოლდენ სტეიტმა მხოლოდ 3-ქულიანი უპირატესობით მოიგო. თუმცა, მეორე ნახევარში სტეფ კარიმ და კომპანიამ უკვე სერიოზულად მოინდომეს და მესამე მეოთხედი 17-ქულიანი უპირატესობით მოიგეს და შემდეგ თამაში მშვიდად ჩაამთავრეს.

არადა, ყველაზე მეტი ქულა ნიუ ორლეანსის მძიმე ფორვარდმა ენტონი დევისმა დააგროვა – 25 წლის კალათბურთელის ანგარიშზე 34 ქულა და 19 მოხსნა იყო. მისი თანაგუნდელის, ჯრუ ჰოლდეის ანგარიშზე სამმაგი დუბლი იყო – 27 ქულა, 10 მოხსნა და 11 პასი იყო, მაგრამ ორმა კალათბურთელმა პელიკანებს ვერ უშველა.

გოლდენ სტეიტიდან საუკეთესო სტეფ კარი გახლდათ (28 ქულა). დრეიმონდ გრინმა 19 ქულა, 14 მოხსნა და 9 პასი გააკეთა – სამმაგ დუბლამდე მას მხოლოდ ერთი პასი დააკლდა. აღსანიშნავია, რომ გრინს 3 ჩაჭრაც ჰქონდა. ცხადია, კარგად ითამაშეს კევინ დურანტმა (24 ქულა) და კლეი ტომპსონმაც (23).

როკეტსის იუტასთან მეოთხე გამარჯვებაში (112:102) უდიდესი წვლილი არა ჯეიმს ჰარდენს, არამედ ლოს ანჯელეს კლიპერსიდან გადმოსულ კრის პოლს მიუძღვის: 41 ქულით, 10 პასით და 7 მოხსნით მან ორმაგი დუბლი შეასრულა, რაც მისი პირადი რეკორდია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ამერიკელმა 30 ათასი ბიგ-მაკი შეჭამა

ამერიკელმა დონ გორსკემ 30 ათასი ცალი ბიგ-მაკი შეჭამა და შეჭმული ბურგერების რაოდენობით მსოფლიო რეკორდი მოხსნა.

გორსკემ, რომელიც პენსიაზე გასვლამდე ციხის მცველად მუშაობდა, მარტის შუა რიცხვებში პირობა დადო, რომ მაისისთვის 30 ათას ბიგ-მაკს შეჭამდა და საკუთარი დანაპირები შეასრულა.

64 წლის გორსკემ ოცდამეათიათასე ბურგერი „მაკდონალდსის“ იმავე რესტორანში შეჭამა, სადაც 1972 წელს პირველად დააგემოვნა ეს კერძი.

– იმ დროს ქალაქში სულ ერთადერთი „მაკდონალდსი“ იყო, მე კი ის-ის იყო მანქანის მართვის მოწმობა ავიღე, – გაიხსენა მან, სანამ საკუთარ რეკორდს განაახლებდა.

პენსიონერმა აღიარა, რომ ეს ბურგერი მისთვის განსაკუთრებული იყო. საიუბილეო ბიგ-მაკის შეჭამამდე, მან საათნახევრიანი პრეზენტაცია მოაწყო, რომელზეც საკუთარი რვეული წარმოადგინა, რომელშიც მის მიერ შეჭმულ ბურგერებზე ჩანაწერები ჰქონდა გაკეთებული. ამის შემდეგ მან კიდევ ერთი ბიგ-მაკი იყიდა სახლში წასაღებად.

ამერიკელმა კაბინაში ფუტკრებთან ერთად გაისეირნა

ამერიკელმა მეფუტკრემ უოლეს ლიზერვუდმა 65 კილომეტრი გაიარა ავტომობილით, რომლის კაბინაში ათასობით ფუტკარი იმყოფებოდა.

მეფუტკრეს მწერები გასაყიდად მიჰყავდა და გზად სასადილოსთან შეჩერდა წასასაუზმებლად. როდესაც ის მანქანასთან დაბრუნდა, აღმოაჩინა, რომ ერთ-ერთი კონტეინერიდან სამი ათასამდე ფუტკარს დაეღწია თავი და სატვირთოს კაბინა გაევსოთ. მან გადაწყვიტა გზა გაეგრძელებინა.

– ფუტკრების დაკარგვა არ მინდოდა. ისინი ერთი ყუთი 165 დოლარი ღირს, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ლიზერვუდმა.

საკუთარი მგზავრობა მან ვიდეოზე გადაიღო, რომლის კომენტარშიც დაწერა: „ჰიუსტონ, პრობლემები გვაქვს, გოგონები გაიქცნენ“. მისი მტკიცებით, მთელი მგზავრობის მანძილზე მისთვის ერთ ფუტკარსაც კი არ უკბენია, თუმცა, როდესაც ფუტკრები მანქანიდან გადმოჰყავდა, რამდენიმემ მაინც უკბინა.

პენსიონერი პოლიციას ეჭვმიტანილის დაკავებაში დაეხმარა

ხანდაზმული ამერიკელი პოლიციელებს დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავებაში მისთვის ფეხის დადებით დაეხმარა. ამ ინციდენტის ამსახველ ვიდეოს ყურადღება ახალი ამბების ერთ-ერთმა ამერიკულმა პორტალმა მიაქცია.

მამაკაცი, რომელსაც პოლიციამ ბილი დაარქვა, ოჰაიოს შტატის ქალაქ კოლამბუსის ბიბლიოთეკიდან გამოდიოდა, როდესაც საეჭვო ახალგაზრდა შენიშნა, რომელიც პოლიციელებს გაურბოდა. ბილი არ დაიბნა და ეჭვმიტანილი შეაჩერა. ახალგაზრდა წაიქცა და პისტოლეტი ხელიდან გაუვარდა, პოლიციელებმა კი მისი დაპატიმრება შეძლეს.

მოგვიანებით სამართალდამცავებმა განაცხადეს, რომ ამ ილეთმა 18 წლის ეჭვმიტანილის სიცოცხლე იხსნა, ვინაიდან პოლიციელები უკვე მისთვის ცეცხლის გახსნას აპირებდნენ. მათ მადლობა გადაუხადეს ბილის გამოჩენილი სიმამაცისა და ფეხის მოხერხებულად მოძრაობისთვის.

პაკისტანელმა თავით 51 საზამთრო გახეთქა

პაკისტანელ სპორტსმენს რაშიდ ნასიმს სულ 60 წამი დასჭირდა თავით 51 საზამთროს გასახეთქად და ახალი მსოფლიო რეკორდის დასამყარებლად.

ადრინდელმა რეკორდსმენმა გერმანიიდან ტაფზი ახმედმა 2011 წელს თავით 43 საზამთრო გახეთქა, ანუ რვა საზამთროთი ნაკლები. ასევე ნასიმმა ხელის გულით 60 წამში 281 კაკალი დაამტვრია და კიდევ ერთი რეკორდი მოხსნა, რომელიც ინდოელ პრაბხაკარ რედის ეკუთვნოდა. მისი შედეგი 251 კაკალი იყო.

პაკისტანელი სპორტსმენი ამტკიცებს, რომ ამ გამოსვლისთვის დიდხანს ემზადებოდა.

– იმისთვის, რომ მსოფლიო რეკორდი დაამყარო, ბევრი ვარჯიშია საჭირო. ამ გამოსვლამდე რამდენიმე თვე ვვარჯიშობდი. ამ ყველაფერს კი მნიშვნელოვანი ფინანსები სჭირდება, მე კი ამას სპონსორებისა და სახელმწიფოს დახმარების გარეშე მივაღწიე, – განაცხადა რეკორდსმენმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქალი ოთხმეტრიანი ნიანგის თავდასხმას გადაურჩა

ავსტრალიის ქალაქ კერსის მცხოვრებმა ლიზნი მიტჩელმა მასზე კაციჭამია ნიანგის თავდასხმა გაიხსენა, რომელიც ორი წლის წინ შეემთხვა.

2016 წლის მაისში მიტჩელი კერნსიდან 120 კილომეტრში მდებარე უკაცრიელ პლაჟზე გაემგზავრა, რათა იქ აღენიშნა კიბოს მკურნალობის კურსის წარმატებით დასრულება. მას თან ახლდა მისი მეგობარი სინდი ველდრონი. მათ ერთმანეთი სკოლაში გაიცნეს და უკვე 30 წელზე მეტია მეგობრობენ.

ისინი დაბალ წყალში იდგნენ და იცინოდნენ, როდესაც მოულოდნელად სინდიმ დაიყვირა. ლიენმა იფიქრა, რომ მეგობარი ფეხებზე წყალმცენარეების შეხებამ შეაშინა, ან რაიმე წვრილმანმა და მას ხელები გაუწოდა. სინამდვილეში სინდის ნიანგმა სტაცა პირი. ქალები ერთმანეთს ჩაეჭიდნენ და რეპტილიამ ისინი სიღრმისკენ წაათრია.

– ჩვენ დიდი მანძილი გავიარეთ, ფეხქვეშ ნიადაგს ვერ ვგრძნობდი, – იხსენებს ლიენი, – ხელი გავითავისუფლე, მისი თავი მოვსინჯე და შევეცადე მისთვის ჩამეცხო და შევბრძოლებოდი.

ლიენი იხსენებს, რომ მთელი ძალით ებღაუჭებოდა სინდის, მაგრამ საბოლოოდ ნიანგმა იმძლავრა და მისი მეგობარი წყალქვეშ გაუჩინარდა. ის დიდხანს ეძებდა სინდის, მაგრამ ვერსად მიაგნო. მიტჩელი ხელზე იარებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. პოლიცია და მოხალისეები უშედეგოდ ეძებდნენ სინდის. ბოლოს მათ პლაჟზე ხაფანგები დადგეს. რამდენიმე კვირის შემდეგ ერთ-ერთ მათგანში გაება 4,3 მეტრი სიგრძის ნიანგი, რომლის მუცელში ადამიანის ნარჩენები იპოვეს.

ნიანგმა პატარძალს ხელი მოაჭამა, მაგრამ ქორწილი მაინც შედგა

ზიმბაბველებმა ქორწილი დათქმულ დღეს გადაიხადეს, მიუხედავად იმისა, რომ ნიანგმა პატარძალს ხელი მოაჭამა.

ზანელ ნდლოვუ და მისი საქმრო ჯეიმი ფოქსი გასაბერი ნავით მდინარე ზამბეზზე დაცურავდნენ, როდესაც მათ თავს დაესხათ ნიანგი. რეპტილიამ გოგონას ხელი მოაჭამა. ფოქსმა საცოლის ნაპირზე გაყვანა მოახერხა და ხელზე ღვედი შემოუჭირა.

მიუხედავად სერიოზული ჭრილობისა, გოგონამ გადაწყვიტა, ქორწილი არ გადაედოთ და მომხდარიდან რამდენიმე დღის შემდეგ წყვილმა საავადმყოფოში იქორწინა. თვითმხილველების თქმით, მათი სიყვარულის ისტორია სამაგალითოა.

– მათი გრძნობები ერთმანეთის მიმართ კიდევ უფრო გაძლიერდა, – განაცხადა წყვილის ერთ-ერთმა ახლობელმა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ზიმბაბვეში ნიანგების თავდასხმას 21 ადამიანი ემსხვერპლა.

ასტროპროგნოზი
10 მაისისათვის

ვერძი – კეთილისმყოფელი დღეა. პლანეტები გწყალობენ. იზრდება სასიცოცხლო პოტენციალი. **კურო** – ნებისმიერ დაბრკოლებას გადალახავთ. შესაფერისი დღეა პირადი ცხოვრების მოსაწესრიგებლად. **ჯუჯუპები** – კომუნიკაბელურობა, შორსმჭვრეტელობა და მოვლენების ღრმა ანალიზის უნარი დაწყებული საქმის იღბლიანად დამთავრებაში დაგეხმარებათ. კომერციულ სფეროში ბედი გწყალობთ. **კირჩხიბი** – მოულოდნელი ცვლილებები თქვენგან მაქსიმალურ ძალისხმევას მოითხოვს. თავდაუზოგავი შრომა და მიზნისკენ სწრაფვა აუცილებელია. **ლომი** – პიროვნული მომხიბვლელობა გეხმარებათ, რათა დასახული გეგმები წარმატებით განახორციელოთ. სიახლეები ნუ დაგაფრთხობთ. **ქალწული** – ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია. დღეს იოლად მიიღებთ იმას, რაზეც ადრე მხოლოდ ოცნებობდით. **სასწორი** – ვარსკვლავები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. საკუთარ პოზიციებს ძალდაუტანებლად იმყარებთ. **ღრიანკალი** – დასვენებისა და მოგზაურობისათვის იღბლიანი დღეა. ენერგიით ივსებით. **მშვილდოსანი** – ფიზიკური დატვირთვა ფსიქოემოციურ მდგომარეობას გამოგიკეთებთ. მეგობრებთან ურთიერთობა დადებითად დაგმუხტავთ. **თხის რქა** – მოზღვავებული ენერგიის წყალობით ნებისმიერ რთულ საქმეს თავს სწრაფად გაართმევთ. წარმატება გელით მრავალ ახალ წამოწყებაში. **მერწყული** – იღბლიანი დღეა. შემოქმედებითი აქტიურობა თქვენს კარიერაზე დადებითად აისახება. **თევზები** – იფრთხილეთ. შესაძლოა ემოციებმა გძლიონ და ამის გამო ახლობლებთან ურთიერთობა დაგეძაბოთ. ერიდეთ სხვის საქმეში ჩარევასა და ნოტაციების კითხვას.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ზღვის წვრილი თევზი, ფართო რეწვის ობიექტი; 2. ხერესის მწარმოებელი უმსხვილესი ესპანური ფირმა; 3. მეფის დროშის სახელწოდება ძველად საქართველოში; 4. გერმანული პარფიუმერიული ფირმა; 5. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 8. მარჯნის კუნძულის ან ატოლის შიგნით მოქცეული წყლის სივრცე; 9. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა; 12. ქვის ხავსი; 14. ბელგიური ავიაკომპანია; 16. მდინარე ვოლგის არაბული სახელწოდება.

თარაზულად: 1. დასარტყამი მუსიკალური ინსტრუმენტი; 6. შურისძიების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 7. ბუდისტთა მთავარი მონასტერი ტიბეტში; 9. ლუდის მწარმოებელი ირლანდიური ფირმა; 10. ხოხბის, გნოლის, კაკბის ბარტყი; 11. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 13. სააღდგომო ნამცხვარი; 15. ფულის ერთეული ავღანეთში; 17. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 18. ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი თურქეთში; 19. გია დანელიას კინოკომედია; 20. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. თავთუხი; 2. ინფანტინო; 3. გრუნდიგი; 4. ხრიდოლი; 5. ბუზუკი; 9. კრუიზი; 11. ვერმელი; 12. ჟიგოლო; 14. ნიამორი; 18. ოტელო; 19. სამბო.

თარაზულად: 4. ხილარი; 5. ბლენდერი; 6. გროგი; 7. თიბათვე; 8. ბალოკი; 11. წნევა; 13. ხანუკა; 15. ტრიუმი; 16. გომი; 17. პინო; 20. მერანო; 21. ბოტასი; 22. კოლიბრი; 23. ბალეტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ხილარი; 2. კარე; 3. შერმადინი; 4. ხეპრე; 5. მირკანი; 8. დიჟონი; 9. ალტიმეტრი; 19. სუძუკი; 14. მატანი; 16. ისანი.

თარაზულად: 1. ხვანჭკარა; 6. ბერიკები; 7. ლაუდერი; 9. არემჯი; 10. მესა; 11. ლორნეტი; 13. ხომლი; 15. რუბიკი; 17. ხირხატი; 18. ლუგელა; 19. ფლინტი; 20. მირიანი.

ტრაგიკულად გარდაცვლილ ნოდარ ქუმარიტაშვილს წიგნი მიუძღვნეს

ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადაზე 2010 წელს ტრაგიკულად დაღუპულ ნოდარ ქუმარიტაშვილს წიგნი მიუძღვნეს. გამოცემის პრეზენტაცია იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში გაიმართა.

წიგნი სპორტსმენის დედის, დოდო ხარაზიშვილის ავტორობით ქართულ და ინგლისურ ენებზე დაიბეჭდა და 21 წლის სპორტსმენის ცხოვრებაზე, მიღწევებსა და სპორტულ კარიერაზე მოგვითხრობს.

ღონისძიებაზე დასასწრებად თბილისს საგანგებოდ ესტუმრნენ საციგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი იოზეფ ფენტდი და ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი კრისტონ შვეიგერი. ღონისძიება საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერით გაიმართა.

ნოდარ ქუმარიტაშვილი საციგაო სპორტით ბავშვობიდან დაინტერესდა. ვარჯიში 13 წლის ასაკში დაიწყო, იყო ბევრი საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილე, არაერთხელ მიაღწია წარმატებას. ახალგაზრდა სპორტსმენი 2010 წლის 12 თებერვალს ვანკუვერში, საკვალიფიკაციო დაშვებისას, ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნამდე რამდენიმე საათით ადრე დაიღუპა.

მოციგავე ნოდარ ქუმარიტაშვილი სიკვდილის შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ოლიმპიური ორდენით დააჯილდოვა.

მის ხსოვნას კომპოზიტორმა ოთარ ტატიშვილმა სიმღერა მიუძღვნა, რომელიც მაკა ზამბახიძემ და რატი დურგლიშვილმა შეასრულეს.

სანდრო ელოშვილი: „რატომ არ უნდა აღნიშნოს საქართველომ 9 მაისი“

1945 წლის 9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღეა და ამ დღეს საქართველოც ზეიმობს. რეჟისორი სანდრო ელოშვილი კი აცხადებს, რომ საქართველომ 9 მაისი არ უნდა აღნიშნოს:

– შევეცდები ავხსნა თუ რატომ არ უნდა აღნიშნოს საქართველომ 9 მაისი.

1. პირველ რიგში, იმათ ვუპასუხებ, ვინც ამბობს, რომ 9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღეა. გერმანიამ 1945 წლის 8 მაისს, ბერლინის ერთ-ერთ რაიონში, კარლჰორსტში ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციას. გამომდინარე აქედან, ფაშიზმზე გამარჯვების დღე 8 მაისია და არა 9, შესაბამისად, ამ დღის აღნიშვნით ჩვენ მხოლოდ საბჭოთა ე.წ. წითელი არმიის დღეს აღვნიშნავთ, იმ არმიის, რომელმაც საქართველოს ანექსია მოახდინა 1921 წელს, იმ არმიის, რომელმაც 1956 წელს 9 მარტი მოგვიწყო, 89 წელს 9 აპრილი და ა.შ... ასე რომ, ისიც საკითხავია, ფაშისტური გერმანიის დამარცხების აღნიშვნასთან ერთად, ხომ არ ვიგლოვოთ კიდეც ქართველებმა ჩვენთვის ყველაზე დიდი მტრის, ჩემი სუბიექტური აზრია და შენიშვნებს არ მივიღებ ამასთან დაკავშირებით, მონსტრ „დერჟავად“ გადაქცევა?!

2. ახლა რაც შეეხება წითელ არმიას, რომელშიც, სხვათა შორის, ჩემი დიდი ბაბუა, მამაჩემის ბაბუა მსახურობდა და თან მაინცდამაინც არა რიგითად... ჩვენ ვცდილობთ ჩვენს წინაპრებს პატივი ვცეთ და რადგან ისინი მსახურობდნენ საბჭოთა არმიაში, ვიყოთ „მსუბუქები“ ჩვენს სათქმელში და ამ დროს ვივიწყებთ მთავარს, რომ ამით ჩვენს იმ წინაპრებს არ ვცემთ პატივს, რომლებიც საკუთარ ქვეყანას იცავდნენ წითელი არმიისგან და მერე მათ დიდ ორმოებში ერთად მარხავდნენ, რა კულტურულად ვთქვი „მარხავდნენ“...

პ.ს. ვაკის პარკში დიიიდიიი „პამიატნიკი“ რომ გვიდგას უცნობი ჯარისკაცის, რომელსაც წინ წითელი არმიის „საგმირო“ საქმეებს მარადიული ცეცხლი არ აძლევს დავიწყებას, იქვე ახლოს ვაკის პარკის ტუალეტები, ახლა აღარ ვიცი არის თუ არა, რომ იყო, 1923 წლის 20 მაისს იმავე წითელმა არმიამ, როგორც ასეთი, კრებითი სახელი, დახვრიტა: გენერალი კონსტანტინე აფხაზი, გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, გენერალი ვარდენ წულუკიძე, გენერალი როსტომ მუსხელიშვილი, პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი, პოლკოვნიკი ალექსანდრე მაჭავარიანი, პოლკოვნიკი ელიზბარ გულისაშვილი, პოლკოვნიკი დიმიტრი ჩრდილელი, როტმისტრი სიმონ მუხრან-ბატონი, როტმისტრი ფარნაოზ ყარალაშვილი, ლეიტენანტი ლევან კლიმიაშვილი, სამხედრო მოხელეები: მიხეილ ზანდუკელი, იასონ კერესელიძე, სიმონ ჭიაბრიშვილი და ივანე ქუთათელაძე და შემდეგ ზემოდან ტუალეტებიც დააშენეს.

3. ისტორიაში ხშირად გვხვდება, როგორ იბრძოდნენ ქართველები სხვისთვის, უცხო არმიებში, ისინიც ვიღაცებს ამარცხებდნენ და ისინიც ვიღაცის ან რაღაც ინტერესებს იცავდნენ. რატომ არ აღვნიშნავთ ნადირ-შაჰის ინდოეთზე გალაშქრებას? ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის განთავისუფლებას? საწყალი ქართველი მამლუქები როგორ აწყდებოდნენ ნაპოლეონს ეგვიპტეში? ვინ დამაჯერებს, რომ დავუშვათ, ველისციხიდან რომ ომში წავიდა კაცი, იმას რუსეთი, საბჭოთა კავშირი საკუთარ სამშობლოდ მიაჩნდა და მოსკოვი მშობლიურ დედაქალაქად? ასე რომ, ის საწყალი ხალხი ჩემთვის ზუსტად ისეთივე მამლუქები იყვნენ, როგორებიც „ხვიჩა ენდ გოჩა“...

აქაც პ.ს. ჩემთვის მაზნიაშვილის ბრძოლა თურქებთან 1921/03/18 უფრო ძვირფასია... დამოუკიდებელი საქართველოს უკანასკნელი ბრძოლა, რომელიც გამარჯვებით დასრულდა.

ამიტომ ბოდიშის მოხდით – მე ვერ ვზეიმობ 9 მაისს! თუკი ვინმე იტყვის, რომ ამ დღეს პატივი უნდა მივაგოთ „შინმოუსვლელებს“... კი ბატონო, მაგრამ მაშინ ყველა მოვიგონოთ... ქართველიც, გერმანელიც, რუსიც, ფრანგიც, იაპონელიც... ჯერ ერთი იმიტომ, რომ ოფიციალურად 62 მილიონი ადამიანის სიკვდილი, ვფიქრობ, ყველა ქვეყნის, ყველა რელიგიის, ყველა ადამიანის და სამყაროს ტრაგედიაა და მეორე იმიტომ, რომ „წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა ჭირისა, ისიც მიამბობს ამბავსა, მეც უთხრა ჩემი შვილისა...“

მაგრამ 9 მაისს, როგორც გამარჯვების დღეს, მე არ ვზეიმობ!

სამგლოვიარო განცხადებები



გმირი, რომელიც კაცად შერჩა წუთისოფელს

10 მაისი 2018 წლისა დაბადებიდან 100 წლის შესრულების თარიღია სამშობლოს, ოჯახის, სანათესავოსა და საზოგადოების წინაშე ვალმოხდილი, მათ მიმართ უდიდესი სიყვარულისა და პასუხისმგებლობის მატარებელი კაცური კაცისა შოთა ილარიონის ძე ანდრიაძისა.

ბატონი შოთას დაბადებიდან 100 წლის აღნიშვნით გვინდა გავიხსენოთ ის, რომ თბილისში ცხოვრობდა და საქმიანობდა კოლორიტული ქართველი კაცი, განსახიერება წესიერებისა, პატიოსნებისა და ერთგულებისა.

მისი პერიოდის „შავთა დროთ“: 1937 წლის რეპრესიების გამო უმამოდ გაზრდამ, 1941-45 წლების სამამულო ომმა, იქ მიღებულმა უმძიმესმა ტრავმამ და სხვა ყოფითმა გაჭირვებებმა ვერ გადაახვევინეს წუთისოფელს ბოლომდე კაცად შერჩენის არჩევანს ბუნებრივი ნიჭითა და ალღოთი, პიროვნულთან ერთად ფიზიკური მომხიბვლელობით ღვთისაგან დაჯილდოებულ კაცს – შოთა ანდრიაძეს.

ოჯახური მდგომარეობის გამო, სამედიცინო ინსტიტუტის დატოვების შემდგომ, მან შეცვალა ცხოვრების კრედო და ჩააბარა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდგომ მიენიჭა უფლება სკოლაში მათემატიკის სწავლებისა. აქედან გამომდინარე, ცხოვრების ძირითადი ნაწილი მიუძღვნა მომავალი თაობის აღზრდასა და მათში მათემატიკური აზროვნების სიყვარულის გაჩენას..

კაცურმა კაცმა, რომელსაც ეს წოდება საზოგადოებაში დამკვიდრებული აზრით მიენიჭა, ასეთივე არჩევანის გაკეთების სურვილი პირველ რიგში ვაჟიშვილებს ილია და მირიან ანდრიაძეებს ჩაუნერგა. წუთისოფელს კაცად შერჩენის ურთულესმა არჩევანმა, მამის მსგავსად ჩვენც ილიას და მირიანს (შოთას ბიჭებს) ბევრი სულიერი და ხორციელი დარტყმა მოგვაყენა. მაგრამ ვერც ერთი დარტყმა ვერ შეედრება სილამაზით, კაცობით, პიროვნული მომხიბვლელობით ბაბუის კვალის გამგრძელებელი ავთანდილ (ათული) ანდრიაძის მოულოდნელი ტრაგიკული დაღუპვით გამოწვეულ სულიერ დარტყმას.

სამწუხაროა, რომ შვილიშვილებს – თამუნას, ირაკლის, შოთას, ანასა და მარიამს არ ახსოვთ და ვერ იხსენებენ მას, ვერ მოესწრნენ სიცოცხლით, ხალისით სავსე ხალისიან ბაბუას, კოლორიტულ ქართველს. იმედია, ისინი ამას შეივსებენ სურათებით, მონაყოლითა და გადმოცემებით და, რაც მთავარია, სისხლით. გარკვეულწილად ამ მიზანს ისახავს მისი 100 წლის შესრულების აღნიშვნა – გახსენება და, შესაბამისად, მთელი ცხოვრების მანძილზე ემახსოვრებათ „თუ ვისი გორისანი“ არიან და რომ ბაბუამ როგორც შვილებს, ისე მთელ ჩვენს ოჯახს, დაგვიტოვა ცოცხალი განხორციელებული მაგალითი „წუთისოფელს კაცად შერჩენისა“, რომელიც უნდა გავაგრძელოთ და განვახორციელოთ ჩვენ ყველამ და თითოეულმა ცალ-ცალკე.

ილია და მირიან ანდრიაძეები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ბნელეთის ღვთისმშობლის ეკლესიაში ფრესკები ნადგურდება



გორში X საუკუნეში აშენებული ბნელეთის ღვთისმშობლის ეკლესია, რომელსაც ახლა ნაეკლესიარის სტატუსი აქვს, უმძიმეს მდგომარეობაშია.

ინფორმაცია და ფოტოები გურამ ხარშილაძემ გაავრცელა:

– ბნელეთის ღვთისმშობლის ეკლესია, საკმაოდ ცუდ დღეშია. ეკლესიაში წყალი ჩადის, ფრესკები ნადგურდება როგორც წვიმით, ისე არაკაცების წყალობით, რომელთა კვალს ერთ-ერთ ფოტოზე აუცილებლად ნახავთ.

ოკუპაციის ხაზთან მდებარე სოფლებში სკვერ-ბიბლიოთეკები მოეწყობა

ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის გიორგი კეკელიძის ინფორმაციით, ოკუპაციის ხაზთან მდებარე ოთხ სოფელში – ტყაიაში, მეჯვრისხევში, ორსანტიასა და მერეთში სკვერ-ბიბლიოთეკები მოეწყობა.

გიორგი კეკელიძე:

– დაგეგმილია ლექციები, კონცერტები და დისკუსიები. მსგავსი ბიბლიოთეკები უკვე მოვაწყეთ ანაკლიაში, ნიქოზსა და დიცში. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად ამ პროექტში სხვადასხვა გამომცემლობები და სასწავლებლები მონაწილეობენ.

სტეფანე მღებრიშვილი პირველ სოლოკონცერტს გამართავს

მიუხედავად იმისა, რომ მომღერალი სტეფანე მღებრიშვილი წლებია ქართულ ესტრადაზეა, ის პირველ სოლო კონცერტს მხოლოდ ახლა გამართავს. მომღერალი საკონცერტო პროგრამაზე უკვე აქტიურად მუშაობს და იქს ფაქტორის ჟიურის წევრობის პარალელურად, ერთგულ მსმენელთან შესახვედრად აქტიურად ემზადება.

სტეფანემ პირველი სოლო კონცერტის ჩატარების თარიღი უკვე დააანონსა და ათასობით მსმენელისგან მოწონება და დადებითი რეაქციები დაიმსახურა:

– ვაანონსებ ჩემს პირველ სოლო კონცერტს ფილარმონიაში – 7 ივნისი!

ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში ინტერიერი განადგურებულია

ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში რთული ვითარებაა. განადგურებულია ინტერიერი, ჩამოშლილია ჭერი, აყრილია იატაკი, ცარიელია ვიტრინები. მტვრიანი, უნიკალური სამუზეუმო ექსპონატები და უმოქმედო საგამოფენო დარბაზები – ეს არის ქალაქის მთავარი ღირსშესანიშნაობის დღევანდელობა.

მუზეუმი ამ მდგომარეობაში 2016

წლის დეკემბრიდანაა. როგორც მუზეუმის თანამშრომლები ამბობენ, ფოლკლორის ცენტრის მშენებლობის დროს, რომელიც შენობის მარცხენა ფლიგელში განთავსდა, ვიტრაჟების მონტაჟისას მთლიანად დაზიანდა მუზეუმის ინტერიერი.

მძიმე მდგომარეობაა მუზეუმის ფონდსაცავში, სადაც ათასობით არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ექსპონატს, უძველეს მხატვრულ ტილოებს ნესტი ანადგურებს.

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ხელმძღვანელობამ ადგილობრივ ხელმძღვანელობას წერილით მიმართა და არსებული კატასტროფული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. მუზეუმის მძიმე მდგომარეობის შესასწავლად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე ადგილზე მივიდა:

– ჩვენი დიდი სურვილია, რაც შეიძლება დროულად მოხდეს მუზეუმის მთლიანი რეაბილიტაცია. შესაბამისი სამსახურების მიერ მიმდინარეობს თანხების მოძიება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე მუშაობა. წერილით მივმართავთ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, რომლის მხარდაჭერის დიდი იმედი გვაქვს და გვჯერა, რომ გადავარჩენთ ჩვენი ქალაქის მთავარ ღირსებას – ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმს, – განუცხადა ჟურნალისტებს კონსტანტინე შარაშენიძემ.

სოფო ნიჟარაძე ახალ სიმღერაზე მუშაობს

მომღერალი სოფო ნიჟარაძე ახალი სიმღერის ჩაწერაზე ხმის ჩამწერ სტუდია „ბრავო რეკორდსში“ მუშაობს.

სიმღერის სახელწოდებაა „ვებერთელა ზღვა“, რომლის მუსიკა და ტექსტი ნატო ღოღობერიძეს ეკუთვნის, ხოლო არანჟირების ავტორი მომღერალი და მუსიკოსი ალეკო ბერძენიშვილია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

10 მაისისთვის

აშშ დოლარი — 2.4495

ევრო — 2.9098

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3107

100 რუსული რუბლი — 3.8756

ამინდის პროგნოზი 10 მაისისთვის

3 მაისიდან

„50 ცნობილი ქართველი ქალის 300 რეცეპტი“

წიგნი ა4 ფორმატისაა, აქვს მაგარი ყდა, დაბეჭდილია ცარცის ქაღალდზე და მთლიანად ფერადია.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

კლაუდიო რანიერი შესაძლოა ინგლისში დაბრუნდეს

ცნობილი იტალიელი სპეციალისტი კლაუდიო რანიერი შესაძლოა ინგლისში დაბრუნდეს და რომელიმე ინგლისურ კლუბს ჩაუდგეს სათავეში.

რანიერი ამჟამად ფრანგული ნანტის მწვრთნელია, მაგრამ, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას გუნდის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი აქვს და მალე ამ გუნდს დატოვებს.

რანიერის ბოლო ინგლისური კლუბი ლესტერი იყო, სადაც 2016 წელს რანიერიმ სასწაული მოახდინა და ლესტერი ინგლისის ჩემპიონი გახადა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მერაბ ნინიძე კანის კინოფესტივალის ოფიციალურ ტრეილერში გამოჩნდა

8 მაისს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კინოფესტივალი – კანის საერთაშორისო კინოფესტივალი საზეიმოდ გაიხსნა.

რიგით 71-ე კინოფესტივალის გახსნისთვის მისმა ორგანიზატორებმა ოფიციალური ტრეილერი დაამზადეს, სადაც მსოფლიო ვარსკვლავებთან ერთად მერაბ ნინიძეც აღმოჩნდა.

შარშან კანის კინოფესტივალის მთავარ საკონკურსო პროგრამაში უნგრელი რეჟისორის კორნელი მუნდრუცუს ფილმი „იუპიტერის მთვარე“ მოხვდა, რომელშიც მერაბ ნინიძეც მონაწილეობს. სწორედ შარშანდელი კანის კინოფესტივალის კადრები ჩასვეს ტრეილერის ავტორებმა ოფიციალურ ვიდეორგოლში, რომელსაც ინტერნეტში ათასობით ნახვა აქვს.

პარასკევს, შაბათს და კვირას თბილისში კულტურული ღონისძიებები გაიმართება



თბილისის მერის კახა კალაძის გადაწყვეტილებით, ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას ქალაქში იქნება კონკრეტული ლოკაციები მოცემული, სადაც სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები – კონცერტები, მუსიკალური და თეატრალური წარმოდგენები გაიმართება.

– ამით ახალ სიცოცხლეს შემოვიტანთ ქალაქში. რაც მთავარია, ჩვენ არ ვიქნებით ორიენტირებული მხოლოდ ცენტრალურ ადგილებზე და ცენტრალურ ქუჩებზე. მთელი ქალაქის მასშტაბით იქნება კონკრეტული ადგილები, სადაც კონცერტები და ეს პროექტი განხორციელდება. ახალი პლატფორმის ფარგლებში ქალაქში იგეგმება კონცერტების, საგანმანათლებლო ლექციების, გამოფენების, თეატრალური, მუსიკალური, ფოტოხელოვნებისა და გრაფიტის ფესტივალების მოწყობა, ღონისძიებებში მონაწილეობა კი ყველა დაინტერესებული პირისთვის იქნება შესაძლებელი, – განუცხადა კახა კალაძემ ჟურნალისტებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იუმორი

რუსი ლონდონშია ექსკურსიაზე, გიდთან ერთად ქალაქს ათვალიერებს. ბოლოს ერთ შენობასთან შეჩერდა და გიდს ეკითხება:

– მომისმინე, ყველაფერი ასეთი პატარა რატომ გაქვთ? აი ჩვენთან, მაგალითად, მოსკოვში ეს შენობა ათჯერ უფრო დიდი იქნებოდა...

– თავისთავად, ეს ხომ ფსიქიატრიულია.

•••

მეგობარი მეგობარს ესტუმრა და ხედავს, სახლში ავეჯი გადაადგილებულია, სხვაგვარად აწყვია. მასპინძელს ეკითხება:

– სახლში გადაადგილებები მოაწყვე?

– ჰო.

– ფენ-შუით?

– არა, სიმთვრალით.

•••

ქალი ექიმს შესჩივის:

– ექიმო, როდესაც ჩემ მეუღლეს ორგაზმი აქვს, საშინლად ყვირის.

– მერე, რა გინდათ, ეს კარგია და სრულიად ნორმალურია.

– რა არის კარგი? მისი ყვირილისგან შეშინებულს მეღვიძება...

•••

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, ჩაქუჩი ხელში ისე როგორ დავიჭირო, რომ თითებში არ ჩავირტყა?

– ორივე ხელით, სულელო!!!

•••

ორი მეგობარი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

– რამდენი ხანია ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ და წამოდი აღვნიშნოთ.

– არა, გმადლობ, სმას თავი დავანებე.

– რატომ?!

– შარშანდელი ზაფხული გახსოვს?

– ჰო.

– მე კი არა!

•••

დედა ქალიშვილს არიგებს:

– შვილო, იმ ბიჭს არ გაჰყვე ცოლად.

– რატომ?

– ობოლია, თან კოჭლიცაა.

– მე მდიდარი და ღამაზი არც მჭირდება.

– მაგას არ ვგულისხმობ, შეიცოდე ბიჭი, ისედაც ცხოვრებისგანაა დაჩაგრული და...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

რეალი კოსტას მანოლასით დაინტერესდა

მადრიდის რეალი ბერძენი მცველით კოსტას მანოლასით დაინტერესდა, რომელიც ამჟამად იტალიური რომას ღირსებას იცავს. მანოლასი თავის პოზიციაზე ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება, ამიტომ რეალი მზად არის, მის ტრანსფერში სოლიდური თანხა გადაიხადოს.

მანოლასმა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ბარსელონას გადამწყვეტი გოლი გაუტანა და ამის შემდეგ, ბუნებრივია, მის მიმართ ინტერესი გაიზარდა. მანოლასმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ რომაში ბედნიერია და სხვა კლუბში გადასვლას არ აპირებს.

ფერგიუსონი ოპერაციის შემდეგ თავს კარგად გრძნობს

ლეგენდარული მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი ოპერაციის შემდეგ გონს მოვიდა და თავს კარგად გრძნობს. ფერგიუსონი საავადმყოფოში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში მოხვდა, რადგან მას ტვინში ჰქონდა სისხლჩაქცევები, რის შემდეგაც ფერგიუსონს გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.

სერ ალექსი რამდენიმე დღე კომაში იმყოფებოდა, მაგრამ ამჟამად მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ის უკვე ოჯახის წევრებსაც ესაუბრება.

ფერგიუსონი მანჩესტერ იუნაიტედს 26 წლის მანძილზე ედგა სათავეში და ის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად ითვლება.

მარიო ბალოტელიმ ფრანგ მსაჯებს აგინა

სკანდალებით ცნობილი ფეხბურთელი მარიო ბალოტელი ისევ გაეხვა უსიამოვნებაში. ამჯერად მან მერსელთან შეხვედრის შემდეგ მსაჯებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც ბალოტელის, სავარაუდოდ, მკაცრად დასჯიან.

ბალოტელიმ თავისი საქციელი იმით ახსნა, რომ ფრანგი მსაჯები ხშირად უშვებენ შეცდომებს და ამის გამო მისი გუნდი ზარალდება ხოლმე. ასევე ცნობილი გახდა ისიც, რომ სეზონის ბოლოს ბალოტელი ნიცას დატოვებს და, სავარაუდოდ, იტალიაში დაბრუნდება, თუმცა რომელ გუნდში, ჯერჯერობით უცნობია.

სამუელ უმტიტიმ მცირე ტრავმა მიიღო

ბარსელონას ფრანგმა მცველმა სამუელ უმტიტიმ მცირე ტრავმა მიიღო, რის გამოც მან შესაძლოა რამდენიმე შეხვედრა გამოტოვოს.

უმტიტის ტრავმები ადრეც აწუხებდა, თუმცა სერიოზული არც ერთი მათგანი არ ყოფილა. რეალთან შეხვედრის დროს უმტიტის წინააღმდეგ გარეტ ბეილმა საკმაოდ უხეშად ითამაშა და შესაძლოა, ფრანგი მცველის ტრავმა სწორედ ამან გამოიწვია.

უმტიტი ბარსელონაში 2016 წელს ლიონიდან გადავიდა და მას შემდეგ კატალონიური გუნდის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. უელსის ადმინისტრაციული ცენტრი; 2. რაიმეს დასამტკიცებლად გამოყენებული საბუთი; 3. ბიბლიის ათი მცნება; 4. დებულება, რომლის მართებულობასაც ადგენენ მტკიცების გზით; 5. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 9. სამურაების მეთაური; 11. სურსათ-სანოვაგის გადასაზიდი, მხარზე გადასაკიდი ნაქსოვი ძველებური ჩანთა; 12. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 14. მდინარე ამსტერდამში; 18. სპორტული სასეირნო ნავი; 19. ფრანგი მწერალი.

თარაზულად: 4. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე; 5. შავკანიანთა რასის წარმომადგენელი; 6. ამერიკელი დეტექტიური ჟანრის მწერალი; 7. დრამატული ნაწარმოების ერთ-ერთი ჟანრი; 8. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 10. ლითონდამამუშავებელი აგრეგატი; 13. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 15. სევდიანი ლირიკული ლექსი; 16. თიხისა და თაბაშირის გამომწვარი ნარევი სამშენებლო სამუშაოებისთვის; 17. წითელი ფერის ძვირფასი ქვა; 20. ტროპიკებში გავრცელებული მოკლეხორთუმიანი ცხოველი; 21. ტკბილეული, დესერტი; 22. პოლიციის ქვედანაყოფი საქართველოში; 23. ქართული მულტიპლიკაციის ფუძემდებელი.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა